ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 15 ნოემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 264 (2307)

დ ღ ი უ რ ი

- — გერმანია-უნგრეთის მოლაპარაკება ჩაიშალა.
- — გადადგა ესტონეთის მთავრობა.
- — ხელმოწერილია სამხრეთ-სლავია—ჩეხო-სლოვაკიის ხელშეკრულება.
- — ანტი-იტალიური დემონსტრაციები სამხრეთ-სლავიაში.
- — გაზ. „სოციალ-დემოკრატ“ ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ.
- — ლატვიის პრეზიდენტის მოკვლის განზრახვა.
- — მოსკოვიდან მოემგზავრება კომისია ტიათურის მრეწველობის გამოსაკვლევად.

ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკა

როგორი იქნება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების საგარეო პოლიტიკა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? ეს საკითხი დღეს უდიდეს ყურადღებას იქცევს. ამ არჩევნების მოლოდინში და მათ განმავლობაში ამერიკის ორივე მთავარი პარტია (რესპუბლიკანელები და ლიბერალები) ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დაემალა თავისი ნამდვილი სახე და გაურბოდა ეხლანდელ პოლიტიკის ძირითად საკითხებზე თავის შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბებას, რომ არჩევნების შედეგებზე მათ თავისთვის საზიანო გავლენა არ მოეხდინათ.

არჩევნებმა, როგორც ვიცით, გამარჯვება გუვერს არგუნა, ე. ი. მსხვილ მძლავრ ტრესტებში გაერთიანებულ კაპიტალს. ამას, შინაურ რეაქციის გაძლიერებასთან ერთად, უეჭველად მოჰყვება ამერიკის იმპერიალიზმის აქტივობის ზრდა. ამით, (ცხადია, იმის თქმა არ გვინდა, რომ დემოკრატები, თუ ისინი ძალა-უფლებას ჩაუდგებოდნენ სათავეში, სამშვიდობო პოლიტიკას გაატარებდენ. ასეთი აზრი დაუშვებელი გულუბრყვილობა იქნებოდა. მაგრამ ისიც უდავოა, რომ რესპუბლიკანელები, ეხლანდელი გამარჯვების შემდეგ უფრო უხეშად, მედგრად და პირდაპირ გააგრძელებენ ამერიკის კაპიტალის მსოფლიო ჰეგემონიისათვის ბრძოლას, რომელიც ახასიათებს მათ პოლიტიკას.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა კულიჯის განცხადება, რომელმაც უკვე მთელი აურ - ზაური გამოიწვია ევროპაში. კულიჯი პოლიტიკურ სცენიდან მიმავალი კაცია, მარტში ის შეცვლილი იქნება ახალი პრეზიდენტით, გუვერით, მაგრამ მისი გამოსვლა ამით როდი კარგავს თავის მნიშვნელობას. კულიჯი ამ შემთხვევაში უდავოა, მარტო თავის თვალსაზრისს გამოხატავს, — მისი სიტყვა შეგვიძლია მივიჩნიოთ გუვერის და ამერიკის მთელი მსხვილი კაპიტალის სამოქმედო პროგრამად.

კულიჯმა ხაზგასმით დასვა ამერიკისა და ევროპის ურთიერთობის, უკეთ — ამერიკისა და ინგლისის ურთიერთობის საკითხი. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოს საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი დამახასიათებელია ინგლის - ამერიკის წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით, გამწვავდა ინგლის-საფრანგეთს შორის საზღვაო კომპრომისის დადების შემდეგ. ამ კომპრომისის აზრი, რამდენადაც საქმე ამერიკას ეხება, იმაშია, რომ ინგლისმა საფრანგეთის სახით, მისთვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დათმობების მინიჭების გზით, იშოვა მძლავრი მოკავშირე ამერიკასთან საბრძოლველად, მისი საზღვაო ძლიერების შესაზღუდავად, რომ ამ გზით შეინარჩუნოს თავისი ბატონობა ყველაზე უფრო საშიშ კონკურენტის იერიშებისაგან.

თავის დროზე ვაშინგტონის მთავრობამ აშკარად აღნიშნა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ანტი-ამერიკული ხასიათი. კულიჯი ეხლა ამას იმეორებს და დაასკვნის, რომ ამერიკამ ამ შეთანხმების საპასუხოდ უნდა გააძლიეროს თავისი ფლოტიო. შეერთებულ შტატების საზღვაო მინისტრის დღევანდელი განცხადებაც საზღვაო მშენებლობის შესახებ, ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ ამერიკის იმპერიალიზმს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაანადგუროს თავისი მოწინააღმდეგე და მსოფლიო ბატონობა დაიმკვიდროს.

რისთვის წარმოებს ბრძოლა ინგლის - ამერიკას შორის? ნედლეულის ახალი ბაზრების და მრეწველობის პროდუქციის და კაპიტალების გაზიდვის ბაზრების დაპყრობისათვის. კულიჯი ამბობს: „მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებს არაფრით არ აუნაზღაურებიათ (?!) თავისი სამხედრო ხარჯები, ევროპის სახელმწიფოებმა შეიძინეს ტერიტორიები და იღებენ რეპარაციებს“-ო. ესე იგი კულიჯი პირდაპირ აყენებს საკითხს, დედამიწის ხელ-ახალი დანაწილების შესახებ; ამერიკის იმპერიალიზმი ისწრაფვის იმ კოლონიების და ქვეყნების დაუფლებისაკენ, რომელზედაც უმთავრესად ინგლისია ჯერ - ჯერობით გაბატონებული.

თავის იმპერიალისტურ მიზნების განხორციელებას ამერიკა აპირებს არა მარტო სამხედრო მზადებით, არამედ მას ამისათვის სხვა მძლავრი საშუალებაც გააჩნია — ევროპის ფინანსიურად დამორჩილება; ჯერ ერთი, გუვერის მთავრობა, ეჭვი არ არის, მოითხოვს ინგლისისა და საფრანგეთისაგან სამხედრო ვალების სრულად გადახდას, შემდეგ, როგორც კულიჯი აცხადებს, ამერიკის კაპიტალი ევროპას მოუსპობს კრედიტებს, გამოუცხადებს მას ფინანსიურ ბლოკადას, რასაც უნდა მოჰყვეს ევროპის წამოჩოქება ამერიკის წინაშე.

აქვე საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამერიკა ინგლისის და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ფიქრობს გერმანიის გამოყენებას. კერძოდ გუვერი წინააღმდეგია, რომ რეპარაციების პრობლემა ვალების საკითხს დაუკავშირდეს, როგორც ამას საფრანგეთი და ინგლისი ცდილობენ. ეს უეჭველად გააძლიერებს გერმანიის პოზიციას. ამავე დროს გუვერი თითქო ემხრობა გერმანიის გაფართოვებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის წვრილ სახელმწიფოების ხარჯზე.

შეერთ. - შტატების იმპერიალისტური ექსპანსიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ მათი მომავალი პრეზიდენტი აპირებს ლათინურ ამერიკაში გამგზავრებას, ცხადია იმ მიზნით, რომ იგი უფრო დაექვემდებაროს ჩრდ.-შტატებს და იქ აღმოფხვრას ინგლისის გავლენა.

ამნაირად, ამერიკის იმპერიალიზმი მთელი ფრონტით აძლიერებს შეტევას ინგლისის წინააღმდეგ, რაც დააჩქარებს მათ სამკვდრო - სასიცოცხლო შეტაკებას.

როგორი შეიძლება იყოს გუვერის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან? ერთ დროს იგი აქტიურად გამოდიოდა საბჭოების წინააღმდეგ და მათი დამხობისათვის იბრძოდა. მაგრამ ბოლო დროს მდგომარეობა შეიცვალა. მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს მოსპობის ცდა განუხორციელებელი შეიქნა. ამერიკა - საბჭოთა კავშირ შორის ფართოვდება სამეურნეო ურთიერთობა. ამას მოითხოვს ამერიკის კაპიტალის ინტერესები და გუვერი, რომელიც ამ ინტერესების სადარაჯოზე დგას, ჩვენთან ეკონომიურ დაახლოვების მომხრე ხდება. სხვათა შორის, საგულისხმოა საფრანგეთის ინდუსტრიის ხელმძღვანელ წრეებთან დაახლოვებულ „ბიულეტინ კოტიდიენ“-ის აზრი, რომელიც ჰან გამოსთქვა საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომ გუვერისაგან უფრო მოსალოდნელია საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენა, ვიდრე სმიტისაგანო. აგრეთვე საყურადღებოა „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ის ნიუ - იორკელ კორესპონდენტის ცნობა, რომ გუვერთან ახლო მდგომ პირთ შეუძლებლად არ მიაჩნიათ ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრად საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე ბორას დანიშვნაო. ჩვენ ეჭვის თვალით უყურებთ ამ ცნობას, ისე როგორც „ბიულეტენ კოტიდიენ“-ის ზევით მოყვანილ აზრს, თითქო გუვერისაგან მოსალოდნელი იყოს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა (რაც გულისხმობს დიპლომატიურ დამოკიდებულების განახლებას), მაგრამ ყველაფერი ეს მაინც საგულისხმოა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკასა და საბჭოთა კავშირ შორის უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება საქმიანი ურთიერთობა. ეკონომიური აუცილებლობა ამერიკის კაპიტალს იძულებულს ხდის ამ გზას დაადგეს.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია

კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის გაშლა-განვითარება მხოლოდ ეხლა იწყება.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიას წელს უაღრესად სერიოზული ამოცანები აქვს დასახული, ამიტომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანია პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრს უნდა შეადგენდეს. შარშანდელმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ადგილობრივ ყოველთვის სწორედ არ აფასებდნენ ამ მუშაობის მნიშვნელობას, ყველგან არ ჩაატარეს წინასწარი ენერგიული მზადება და განმარტებითი კამპანია. ამას შედეგად მოჰყვა ისეთი შემთხვევები, როდესაც მუშებს საკმაოდ არ განემარტად ყველა ჩატარებული ღონისძიების აზრი და მნიშვნელობა. საკმარისია დავასახელოთ სატარიფო რეფორმების საკითხები, გამომუშავების ნორმების გადათვალიერება და სხვა. წლევანდელმა კამპანიამ მთლიანად უნდა გაითვალისწინოს წარსული წლების დეფექტები და აიცილოს ისინი თავიდან.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტების განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა ფართო მასებმა, ამასთან თვით ფაბრიკებსა და ქარხნებში. მუშათა მასების წინაშე გამოაშკარავებულ უნდა იქნას საწარმოთა მუშაობის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, საჭიროა მათი ჩაბმა იმ მორიგ სამეურნეო ამოცანების აქტიურ განხილვაში, რომლებიც ამა თუ იმ საწარმოს, ტრესტის და საერთოდ მთელი მრეწველობის წინაშეა დასახული. კოლექტიურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი გასაგები უნდა გახდნენ მუშების ფართო წრეებისათვის. საჭიროა იმის ცხადჰყოფა, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ინტერესები მრეწველობას უსახავენ უდიდეს ამოცანებს.

მომავალი 1928—29 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია მრეწველობის პროდუქციის გადიდება 20 პროცენტით და თვითღირებულების შემცირება 7 პროცენტით მაინც. წელს განზრახულია თვალსაჩინო თანხების შემდგომი დაბანდება მრეწველობაში, მეტადრე მძიმე ინდუსტრიაში. ამ ამოცანების შესრულება საგრძნობლად არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ამიტომ სამეურნეო გეგმის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შეფარდება ხელფასის ზრდასთან. მათი ზრდის სწორ შეფარდებაზე დამოკიდებულია საქონლის თვითღირებულების შემცირების ტემპი, მაშასადამე, მრეწველობის შინაგანი დაგროვებისა და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის შემდეგ გაუმჯობესების საკითხიც. ბოლოსა და ბოლოს ამაზეა დამოკიდებული მთელი გეგმის შესრულება, პირველ ყოვლისა, კაპიტალურ სამუშაოთა იმ მოცულობის შესრულება რომელიც გათვალისწინებულია ჩვენს გეგმებში და რომლის სრულ განხორციელებას მოითხოვენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების საარსებო ინტერესები.

კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, ხდება, მუშათა კლასის უზომო შევიწროება, სამუშაო დღის გახანგრძლივება და საცხოვრებელი დონის დაქვეითება, ჩვენში კი დღემდისაც იყო და შემდეგაც იქნება საწინააღმდეგო ტენდენცია—მუშათა კლასის მდგომარეობის უფრო და უფრო გაუმჯობესება მრეწველობის განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად. სწორედ ამაშია, ძირითადი განსხვავება ჩვენ და კაპიტალისტურ მეურნეობებს შორის. ჩვენი სისტემის პირობებში შრომის ნაყოფიერების ზრდა საფუძველია იმისა, რომ მრეწველობა რაც შეიძლება მალე გადავიდეს მაღალ ტექნიკურ ბაზაზე, კვლავ გაუმჯობესდეს მშრომელთა კეთილდღეობა და კვლავ განმტკიცდეს ეკონომიური კავშირი საშუალო და ღარიბ გლეხობასთან.

შრომის საკითხები უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი სამეურნეო წინსვლის საქმეში. შრომის საკითხების სწორი დაყენება ბოლოს და ბოლოს სწყვეტს მთელი სამრეწველო-საფინანსო გეგმის უზრუნველყოფის საკითხს. ამიტომ ჩვენს პირობებში კოლექტიური ხელშეკრულება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისა, რომ მთელი სახალხო-სამეურნეო ეკონომიკა მივმართოთ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გზით.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადებას საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი მრეწველობის საგეგმო ამოცანები. კოლექტიურ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ რეალური ხასიათი და ხელს შეუწყობენ გეგმის განხორციელებას.

წარსულ წლებში კაპიტალური თანხების დაბანდებას და წარმოების რაციონალიზაციას ის მოჰყვა, რომ 1927—28 წელს საშუალო გამომუშავებამ, 1926—27 წლის საშუალო წლიურ გამომუშავებასთან შედარებით, 13 პროცენტით იმატა, ამავე დროს ხელფასი (ჩერვონეცის მანეთებით) გადიდდა 11 პროცენტით, რეალური ხელფასი — 10 პროცენტით. უდავოა, რომ წარსული წელიწადი პირველი გადამტეხი წელიწადია, როდესაც შრომის ნაყოფიერებამ რამდენადმე გაუსწრო ხელფასის ზრდას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამასთანავე ერთად მთლიანად არ შესრულებულა ყველა საგეგმო დავალება. უნდა ვეცადოთ, რომ ამ დარგში კიდევ უფრო მეტი გარდატეხა მოხდეს. საჭიროა, რომ საგეგმო დავალება შრომის ნაყოფიერების საქმეში არა თუ მთლიანად შესრულდეს, არამედ გადააჭარბოს კიდეც დავალებას, რადგან შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება მუშების ხელფასიც.

მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და მუშების ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილების საკითხი ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივ საზრუნავ საგანს შეადგენდა და შეადგენს.

მრეწველობის ჩამორჩენილი დარგებისა და რაიონების მუშათა ხელფასის გასადიდებლად, მთავრობის გადაწყვეტილებით წელს გამოყოფილია 35 მილიონი მანეთი. შარშან, როცა ხელფასი მრეწველობის ცალკე დარგებში საშუალოდ 11 პროცენტით გაიზარდა, ხელფასის თვალსაჩინო სხვადასხვაობა არსებობდა. ეს შედეგი იყო იმისა, რომ მრეწველობის ზრდა შენელებას განიცდიდა მძიმე ინდუსტრიის დარგებში, ხოლო მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე დარგი წინ იყო წასული. მაგალითად, საკვებ მრეწველობაში ხელფასი 15 პროცენტით გაიზარდა, ამავე დროს კი სამთო მრეწველობაში—6 პროცენტით, მეტალისტთა შორის—9 პროცენტით. ამიტომ ხელფასის გეგმიანი მექანიკური გადიდების უმთავრესი მიზანია, რომ ხელფასი გაუდიდდეთ ქვანახშირისა, მაღაროებისა და მეტალურგიის მუშებს, უმთავრესად ქიმიურ და საფეიქრო მრეწველობის მუშებს, სადაც ხელფასის აბსოლუტური დონე ჩამორჩება ბევრ სხვა წარმოებას. კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების დროს სამეურნეო და კავშირების ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს ის, რომ თვით წარმოებებში სისწორით და მიზანშეწონილად იქნას გამოყენებული ის თანხები, რომლებიც გამოყოფილია ხელფასის გეგმიანი გადიდებისათვის. საჭიროა, რომ შეგირდების ხელფასის ჩამორჩენილი დონე გაუთანაბრდეს ასაკოვანი მუშების ხელფასს.

გეგმიანი მომატების განხორციელების დროს შეუწყნარებელია საკავშირო პროფსაბჭოს და სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს დირექტივებში მოცემული სწორი ხაზის გამრუდება. იმ დარგებში, სადაც განზრახული არ არის ხელფასის მექანიკური გადიდება, მუშათა ხელფასის ზრდა უნდა ხდებოდეს მათი შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე. ამასთან საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მსუბუქი ინდუსტრიის დარგებს, სადაც ადგილი აქვს საგეგმო დავალებებიდან გადახრას მუშაობის თვალსაჩინო დეფექტებისა და შრომის ხელფასის სუსტი რეგულაციის გამო.

ამ წლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სატარიფო რეფორმის შემდგომი გატარება. წარსულ წელს სატარიფო რეფორმა მრეწველობის მთავარი დარგების უმეტეს ნაწილში შეეხო მუშათა მნიშვნელოვან რაოდენობას. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, სატარიფო რეფორმამ საერთოდ უდაო დადებითი შედეგები მოგვიტანა იმ მხრივ, რომ მოხდა შრომის ხელფასის ნორმალური შეფარდება და შეიქმნა ხელფასის მოწესრიგების უფრო მტკიცე საფუძველი. ამასთან ერთად, მექანიკური გადიდებისა და სატარიფო რეფორმის გატარების შემდეგ გადასწყდა ის ამოცანა, რომელიც შეეხება ნორმალური ურთიერთობის დამყარებას კვალიფიციური და ნაკლებკვალიფიციური მუშების ხელფასს შორის.

მიმდინარე წელს აუცილებლად უნდა დამთავრდეს სატარიფო რეფორმის გატარება იმ ადგილებში, სადაც პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი იყო გადადგმული ჯერ კიდევ შარშან. ეს რეფორმა უნდა გატარდეს დანარჩენ ადგილებშიაც. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ რეფორმა პირველად ტარდება რომელსამე ადგილას იგი ზედმიწევნით უნდა იქნას შემზადებული და ახსნილ - განმარტებული. სატარიფო რეფორმის მთავარი შემადგენელი ნაწილი ტარიფის ხვედრითი წილის გადიდებასთან ერთად, უნდა იყოს რაციონალიზაცია ნარდათ მომუშავეთათვის ხელფასის მიცემის საქმეში.

ამ წლის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანას უნდა შეადგენდეს გამომუშავების ძველი ნორმების გადასინჯვის შეცვლა, მუშაობის განმტკიცება შრომის ტექნიკური მოწესრიგებისა და ამ დარგში სამეცნიერო მეთოდების შემოღებისათვის. წარსული მუშაობის დეფექტები უმთავრესად მდგომარეობენ იმაში, რომ ნორმების დამწესებელი ორგანოების შემადგენლობა წარმოებებში სუსტია, მათ მუშაობაში საკმაოდ არ არის ფეხმოკიდებული ნორმების დაწესების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები და მათ მუშაობას საკმაო ყურადღებას არ აქცევენ როგორც სამეურნეო, ისე პარტიული და პროფესიონალური ორგანოები.

გამომუშავების ნორმების გადასინჯვა ამ წლის კოლხელშეკრულებათა კამპანიაში უნდა მოხდეს არა მარტო კოლხელშეკრულებათა ხელახლად დადების მომენტში; მთელი ეს მუშაობა ნორმების გადასინჯვისათვის წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით უნდა ჩატარდეს სისტემატიურად მთელი წლის განმავლობაში და, მაშასადამე ხელშეკრულების დადების დროსაც. შრომის ტექნიკური მოწესრიგების უდიდესი მნიშვნელობა წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციის საქმისათვის მოითხოვს, რომ სამეურნეო და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება მიაქციონ ამ მუშაობას.

კოლხელშეკრულების უფლებრივი და ყოფა - ცხოვრებითი პირობების დარგში საჭიროა უკანასკნელი წლების მიღწევათა განმტკიცება. ამასთან ერთად საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ყველა წვრილმანი დეფექტის თავიდან აცილებას, მუშათა ინტერესების უფრო უკეთესად დაცვას, მკაცრ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და მასების მოთხოვნილებათათვის გვერდის ახვევასთან.

კოლხელშეკრულებათა კამპანია, პროექტის წინასწარ განხილვა და თვით ხელშეკრულებათა დადება უნდა ჩატარდეს იმგვარად, რომ სისწორით იქნას შეხამებული წარმოების შემდგომი განვითარების ინტერესები და მუშათა კეთილდღეობის გადიდება. საჭიროა მუშათა ფართო მასების მობილიზაცია. რათა ისინი ჩაბმულ იქნან კოლმეურნეობათა განხილვის საქმეში, წარმოების რაციონალიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების დაკლების და ყველა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მუშათა კლასის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების პირობას წარმოადგენენ.

„პრავდა“, 14 ნოემბერი.

ამერიკა აძლიერებს სამხედრო-საზღვაო ძალებს

ლონდონში აღიარებენ ინგლის-ამერიკის ურთიერთობის გაუარესებას

საფრანგეთის მემარჯვენე პრესა კმაყოფილია პუანკარეს მთავრობის შემადგენლობით

ინგლის-ამერიკის მეტოქეობა

ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების საზღვაო სამინისტროს ცნობა

ვაშინგტონი, 13 ნოემბერი. კულიჯის გამოსვლის შემდეგ, რომლის სიტყვაში აღნიშნული იყო ამერიკის ეკონომიური და სამხედრო პოლიტიკის ტენდენციები, სიტყვა წარმოსთქვა საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელმა. მან განაცხადა, რომ **საზღვაო სამინისტრო ცდილობს ისეთი ფლოტი ჰქონდეს, რომელიც „არც ერთ სხვა სახელმწიფოს ფლოტს არ ჩამოუვარდება“.** ასეთი მისწრაფების მიზანი ის არისო, რომ **„დაცულ იქნას ამერიკის სავაჭრო პოლიტიკა და მისი კონტინენტალური და საზღვაო სამფლობელოები“.**

შემდეგ სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა სამხედრო გემი აგებული იქნება იმ პროპორციის (5:5:3) საფუძველზე, რომელიც შეიმუშავა ვაშინგტონის კონფერენციამ კაპიტალური გემებისათვის.

საზღვაო სამინისტრო მიზნად ისახავს მხოლოდ **10.000 ტონიან გემების აგებას, რომლებიც 8 დიუიმიანი ზარბაზნებით იქნებიან შეიარაღებულნი.** ამასთანავე საზღვაო სამინისტრო აპირებს **ყველა ძველი კრეისერების შეცვლას.**

შემდეგ იგი მოითხოვს **სამოქალაქო საზღვაო ავიაციის განვითარებას** და მსუბუქ და მძიმე აეროპლანების გამრავლებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამხედრო - საზღვაო ოპერაციებს.

საზღვაო სამინისტროს მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებს **საზღვაო ბაზების განვითარებას ჰავაის კუნძულებზე, პანამაში, წყნარ ოკეანეს სანაპიროებზე** და ახალი საზღვაო ბაზის შექმნას **სანფრანცისკოში.** გარდა ამისა, გეგმაში გათვალისწინებულია მიმოსვლის განვითარება „ამერიკის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით მიმოსვლის საქმეში“. (ადს)

ინგლისის პრესა კულიჯის სიტყვის შესახებ

ლონდონი, 13 ნოემბერი. ინგლისის პრესა ეხება შეერთებული შტატების პრეზიდენტის კულიჯის სიტყვას, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ.

კონსერვატიული „ტაიმს“-ი აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას „სრული თანხმობა“ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორისო.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ“-ი სწერს, რომ „შეერთებული შტატების რესპუბლიკა ევროპას ეხლა უფრო დაშორდა, ვიდრე ერთი წლის წინად იყო დაშორებული. ეს უმთავრესად აიხსნება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით, აგრეთვე იმით, რომ ჟენევის სამთა კონფერენცია (საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ) უშედეგოდ დამთავრდა. თუ ევროპას სურს უზრუნველჰყოს შეერთებული შტატების თანამშრომლობა, მან ამისთვის უნდა გაიღოს სათანადო მსხვერპლი. ევროპა მზად უნდა იყვეს მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის“.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“-ი სწერს, რომ კულიჯის სიტყვა სრულებითაც არ მოწმობს ინგლისის და შეერთებული შტატების „ურთიერთობის შესამჩნევად გაუმჯობესებას“. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ კულიჯს მოჰყავს ისეთივე არგუმენტები, როგორიც ინგლისის საადმირალოს კრეისერების რიცხვის გადიდების სასარგებლოდ, მაგრამ ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ ეს ქვეყნები შეეჯიბრებიან ერთმანეთს საზღვაო შეიარაღებაშიო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა მსოფლიო ომის წინ, როცა ინგლისსა და გერმანიას შორის ხდებოდა შეჯიბრება 1903 წლიდან 1914 წლამდე. ამჟამად ჩვენ თვალწინ არის ინგლისისა და შეერთებული შტატების კონფლიქტის ყველა შემადგენელი ნაწილი: მწვავე სამრეწველო და სავაჭრო მეტოქეობა, ეჭვიანობის და მტრობის ატმოსფერა და შეჯიბრება შეიარაღებაში.

დასასრულ, გაზეთი ამბობს:

„ამგვარად ჩვენთვის აშკარაა ბოლდუინის და ჩემბერლენის ორი მიღწევა: ინგლისის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან და შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის საშიში გამწვავება. თვითეულ ამ მიღწევაში იფარება ომის საფრთხე“ (ადს).

საფრანგეთის მთავრობის მომავალი პოლიტიკა

პარიზი, 13 ნოემბერი. საფრანგეთის ახალი კაბინეტი ხუთშაბათს წაიკითხავს თავის დეკლარაციას დეპუტატთა პალატაში. „პტი პარიზიენ“-ის ცნობით, ახალი კაბინეტი თავის დეკლარაციაში განაცხადებს, რომ მთავრობა [illegible] ბიუჯეტის პროექტიდან გამოჰყოს მე-70 და 71 მუხლებს (რომლებიც გულისხმობენ რელიგიურ კონგრეგაციების უფლებების ნაწილობრივ აღდგენას).

ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რა პოზიციას დაადგებიან რადიკალები ახალი მთავრობის მიმართ. საპარლამენტო წრეებში ფიქრობენ, რომ როდესაც კენჭს უყრიან იმ რეზოლიუციას, რომლითაც მთავრობას ნდობა უნდა გამოეცხადოს, რადიკალები ან თავს შეიკავებენ კენჭის ყრისაგან, ან გაიყოფიან სამ ჯგუფად: ერთი ხმას მისცემს რეზოლიუციის სასარგებლოდ, მეორე — წინააღმდეგ, ხოლო მესამე — თავს შეიკავებენ.

სოციალისტებისა და რადიკალების ოპოზიციონური განცხადებების შესახებ „ლიუმანიტე“ სწერს:

„წვრილბურჟუაზიული რადიკალი და სოციალისტი პოლიტიკოსები ცდილობენ მოატყუონ გამემარცხენების გზაზე დამდგარი მშრომელი მასები და გააღვივონ მათ შორის ილიუზია „მემარცხენე მთავრობის“ შესაძლებლობის შესახებ. ისინი ვითომ ოპოზიციაში დგანან, ნამდვილად კი ისევ მხარს უჭერენ საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკას“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი კაბინეტის ბევრი წევრი პირადად არის დაკავშირებული მსხვილ კაპიტალთან. (ადს)

რას მოითხოვენ მემარჯვენეები

პარიზი, 13 ნოემბერი, საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობის აზრით, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეიცვლება ახალი კაბინეტის შექმნის გამო. მემარჯვენე პრესა მეტად კმაყოფილია კაბინეტის ახალი შემადგენლობით.

„გოლუა“-ს სიტყვით, პუანკარემ აიღო „რეპარაციებისა და ვალების პორტფელი“. გაზეთი აცხადებს, რომ მომავალ მოლაპარაკებაში „საფრანგეთის ინტერესები ჯეროვანი ავტორიტეტით და სიმტკიცით იქნება წარმოდგენილი“-ო.

პერტინაკსი „ეკო დე პარი“-ში ჩამოსთვლის მთავრობის ამოცანებს საგარეო პოლიტიკაში და აცხადებს, რომ მიუხედავად გერმანიის წინააღმდეგობისა, საჭიროა სარეპარაციო მოლაპარაკებაში გატარებულ იქნას თეზისი, რომლის მიხედვითაც გერმანიამ უნდა [illegible] მოკავშირეთა ვალების (შეერთებული შტატების გასასტუმრებლად) დასაფარავად საჭირო თანხა და ერთგვარი წილი საფრანგეთის ზარალის ასანაზღაურებლად. ამგვარად, ეს თეზისი ითვალისწინებს მხოლოდ იმ შესატანი თანხის უმნიშვნელო შემცირებას, რომელიც ამჟამად 2,5 მილიარდ მარკას უდრის.

„გოლუა“, უკიდურესი მემარჯვენე გაზეთი, დიდი იმედებს ამყარებს პუანკარეს პირად მოლაპარაკებაზე ბერლინსა და ლონდონში და აცხადებს, რომ პუანკარეს უნდა მიეცეს მოქმედების თავისუფლებაო. გაზეთი იმედოვნებს, რომ პუანკარე განფანტავს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების იმ ეჭვებს, რომლებიც წარმოიშვნენ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

რიგა, 13 ნოემბერი. „სოციალ-დემოკრატს“-ი ათავსებს ვრცელ მოწინავე წერილს ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შედეგების შესახებ. გაზეთს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ **საბჭოთა კავშირმა ლოიალურად შასრულა ნაკისრი ვალდებულებანი და რომ ხელშეკრულება წარმოადგენს დიდ დადებით ფაქტორს ლატვიის სამეურნეო ცხოვრებაში,** განსაკუთრებით ეხლა, როცა ლატვია მწვავე სამეურნეო კრიზისს განიცდის და როცა ხელშეკრულებამ უკვე სამუშაო მისცა 6.000 მუშას. (ადს).

გერმანიის მელითონეების ბრძოლა

მიტინგები და დემონსტრაციები.

ბერლინი, 13 ნოემბერი. მას შემდეგ, რაც დუისბურგის შრომის სასამართლოს განაჩენი გამოცხადდა, ლოკაუტ-გამოცხადებულმა მუშებმა, კომუნისტების ხელმძღვანელობით, ბევრ ქალაქებში გამართეს დემონსტრაციები, მიტინგები და მანიფესტაციები. „როტე ფანე“ ამჟღავნებს იმ საიდუმლო მოლაპარაკებას, რომელსაც გერმანიის მელითონეთა კავშირის და კათოლიკელთა პროფკავშირების ხელმძღვანელნი მრეწველებთან აწარმოებენ.

ესტონეთის მთავრობის გადადგომა

რეველი, 13 ნოემბერი. მთავრობამ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობის ეხლანდელი კრიზისი გაჭიანურდება. (ადს)

უმუშევართა დელეგაცია ლატვიის პრემიერთან

რიგა, 13 ნოემბ. ლიბავის, მიტავის და ვინდავის უმუშევართა დელეგაციებმა ინახულეს პრემიერ-მინისტრი და გადასცეს მთავრობას თავიანთი მოთხოვნები. დელეგაციები, სხვათა შორის, მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის გაფართოებას და საგარანტიო ხელშეკრულების დადებას. (ადს).

დღეს თბილისში ჩამოვლენ „კრასინ“-ის გმირები

მხურვალე სალამი პოლიარული ექსპედიციის გმირებს



ყინულის მჭრელი „კრასინი“

პროფ. სამოილოვიჩი

გაუმარჯოს „კრასინი“-ს გმირებს

დღეს თბილისში ჩამოდიან ყინულის მჭრელ გემის „კრასინ“-ის გმირები, „კრასინ“-ის სახელი ცნობილია მთელ მსოფლიოში. პროფ. სამოილოვიჩის, მფრინავ ჩუხნოვსკის და გემის სხვა მუშაკების თავდადებულ და სახელოვან მოღვაწეობამ მჭერმეტყველურად ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი ხელისუფლებაა, რომელიც ყოველგვარ ანგარიშის გარეშე უფრო მაღლა აყენებს მეცნიერების ინტერესებს, ვიდრე ეგრედ წოდებული „კულტურული“ ქვეყნები. „კრასინ“-ის გმირების რაინდულმა მოღვაწეობამ მთელ ქვეყანას დაანახვა, რომ ჰუმანიზმი და საერთაშორისო სოლიდარობა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს. ჩვენი მთავრობა არ იხევდა უკან არც მატერიალურ და არც ადამიანთა მსხვერპლის წინაშე იმისათვის, რომ დაღუპვას გადაერჩინა ჩრდილოეთის ყინულოვან უდაბნოებში მომწყვდეული კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მკვლევარნი.

მთელი ბურჟუაზიული პრესა კბილებდალეწილი ხითხითებდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ გაგზავნა თავისი გემები ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად. ისინი, ვისაც ხელობად აქვს გადაქცეული საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ნაბიჯის დემაგოგიისა და უსირცხვილო ცილისწამების ახალ საბაბად გამოყენება, ამტკიცებდნენ „კრასინ“-ის და „მალიგინ“-ის მუშაობის დროსაც. ბევრი ცდილობდა, რომ ჩვენი დამხმარე ექსპედიციების მუშაობა წარმოედგინა, როგორც მორიგი კომუნისტური „ტრიუკი“, რომელიც თითქოს მიზნად ისახავდა მხოლოდ გარეგნულ ეფექტის მოხდენას. ბურჟუაზიული პრესის გაბოროტებული ჟურნალისტები „მეცნიერულადაც“ ასაბუთებდნენ თავის ასეთ აზრს და ამრიგად „გვიწინასწარმეტყველებდნენ“, რომ „კრასინ“-ის და „მალიგინ“-ის ექსპედიცია უიმედო საქმეაო.

რაც მოხდა სინამდვილეში, დღეს ყველამ იცის. სინამდვილე, როგორც ყოველთვის, აქაც ულმობელი აღმოჩნდა ჩვენი მტრებისადმი. ეხლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას—ნობილეს ექსპედიციის მონაწილენი დაუნდობელ სტიქიის მსხვერპლნი გახდებოდნენ, რომ „კრასინ“-ის გმირებს იშვიათი თავდადება არ გამოეჩინათ. თვით საბჭოთა დამხმარე ექსპედიციის მუშაკები არაერთხელ ჩავარდნენ საფრთხეში ნობილეს ექსპედიციის ჯგუფის ძებნის დროს.

საბჭოთა ექსპედიციამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მოსისხლე მტრებიც კი, რომელნიც წინად ყოველნაირად ცდილობდნენ საბჭოთა ექსპედიციის მნიშვნელობის დაკნინებას, იძულებულნი გახდნენ ეცნოთ ჩვენი მეცნიერების, ჩვენი ტექნიკის გამარჯვება.

დღეს ჩვენ ამხ. სამოილოვიჩის, სტრაუბეს და სხვების სახით, ვესალმებით იმ გმირებს, რომელთაც პირნათლად და თავდადებით შეასრულეს პროლეტარულ ხელისუფლების მიერ მათზე დაკისრებული სასახელო საქმე.

გაუმარჯოს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თანხმოვან მუშაობას!

მხურვალე სალამი ჩვენი „კრასინ“-ის სახელოვან გმირებს!

მ. ლ-ძე.

შეხვედრა ყარაიაში

დღეს დილის სრულ 7 საათზე თბილისის ავიარაზმის აეროპლანები გაფრინდებიან სად. ყარაიასაკენ პოლიარული ექსპედიციის მონაწილეთა მატარებლის შესახვედრად. აეროპლანები მატარებელს მოაცილებენ სად. თბილისამდე.

მიტინგი სადგურზე

თბილისის სადგურზე გაიმართება ექსპედიციის მონაწილეთა საზეიმო შეხვედრა. პროფკავშირების, საბჭოთა, სამხედრო, თავდაცვა-ავიაქიმის და სამეცნიერო ორგანიზაციების დელეგაციები ორკესტრით თავს იყრიან სადგურის პერონზე. სადგურზე გაიმართება მიტინგი, ექსპედიციის მონაწილეებს თავდაცვა-ავიაქიმის სახელით მიესალმება **ამხ. ვ. გომრგაძე,** მუშათა ორგანიზაციების სახელით— **ამხ. ქურჩიშვილი.**

მიტინგის დამთავრების შემდეგ, საპატიო სტუმრები გაემგზავრებიან სასტუმრო „ორიანტში“.

სასახლეში

დღის 11 საათზე ექსპედიციის მონაწილენი ეწვევიან ა.-კ. და საქ. ცაკის და ა.-კ. და საქ. სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს.

ზაჰესში

12 საათზე ექსპედიციის მონაწილენი ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად გაემგზავრებიან ზაჰესის, მცხეთის და ნატახტარის წყალსადენის დასათვალიერებლად.

ამავე დღეს ექსპედიციის მონაწილენი გაეცნობიან სახ. უნივერსიტეტს, საქ. მუზეუმს, წიგნთსაცავს და თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

მიტინგები ფაბრიკა-ქარხნებში

16 ნოემბერს, დილის 10 საათზე და 30 წუთზე 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში შესდგება მიტინგი, რომელზედაც პროფ. სამოილოვიჩი გააკეთებს მოხსენებას ექსპედიციის მუშაობის შესახებ.

— დღის 2 საათზე ასეთივე მიტინგი შესდგება როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში.

— დღის 3 საათზე პროფ. სამოილოვიჩი ესტუმრება რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშებს, მფრინავი სტრაუბე კი—ტრამვაელებს.

საზეიმო სხდომა სახ. ოპერაში

16 ნოემბერს, საღამოს სახ. ოპერის თეატრში შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის და ავიაქიმის თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ, კომკავშირის, პროფკავშირების, სამხედრო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, სხდომას გახსნის ამხ. **ფილიპე მახარაძე,** მისასალმებელ სიტყვებს წარმოსთქვამენ პარტიულ, კომკავშირის, პროფსაბჭოს, თბილისის გარნიზონის, სამეცნიერო მუშაკთა სექციის და ავიაქიმის უჯრედების წარმომადგენლები, ექსპედიციის მონაწილეებს მიესალმებიან საქ. და ამიერკავკასიის მთავრობების წარმომადგენლები.

ამხ. სამოილოვიჩის ლექცია

საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება პროფ. სამოილოვიჩის ერთად-ერთი ფასიანი ლექცია.

უკანასკნელი დღე

17 ნოემბერს, დილის 11 საათზე წითელ არმიის სახლში პროფ. სამოილოვიჩი წაიკითხავს ლექციას ექსპედიციის მუშაობის შესახებ. ლექციას დაესწრება თბილისის გარნიზონი.

მფრინავი სტრაუბე ამავე დღის, დილის 11 საათზე გააკეთებს მოხსენებას პლეხანოვის სახელობის კლუბში.

18 ნოემბერს, საღამოს 11 საათზე, ექსპედიციის მონაწილენი გაემგზავრებიან ბათომში.

პროფ. სამოილოვიჩი და სტრაუბე განჯაში

განჯა, 14 ნოემბერი. მოვიდნენ პროფესორი სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე. სადგურზე დახვდნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. სადგურზევე დახვდა საპატიო ყარაული სამხედრო ცოდნათა წრეებისა და ქიმიური რაზმებისაგან.

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს მფრინავმა სტრაუბემ გადასცა შემდეგი შინაარსის ავტოგრაფი: „ვტოვებ რა აზერბეიჯანს, ყინულის მჭრელების „კრასინ“-ის და „მალიგინ“-ის მთელი ეკიპაჟის სახელით გულწრფელ მადლობას გიძღვნით იმ სტუმართ - მოყვარეობისათვის, რომლითაც ჩვენ ბაქოსა და განჯაში მიგვიღეს“.

14 ნოემბერს დილით პროფესორი სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე იყვნენ ელენენდორფში და ზურაბადის ელექტრო - სადგურზე.

საღამოთი იქნება მოხსენება (ადს).

წითელი ვარსკვლავი არქტიკაში

უცხოეთის პრესა „კრასინი“-ს შესახებ

„პოპოლო დ'იტალია“: „ის, რაც გააკეთა ყინულის მჭრელის „კრასინ“-ის მეთაურებმა და ეკიპაჟმა, თითქმის სასწაულს წარმოადგენს. „კრასინი“ გაემგზავრა სოლიდარობის გრძნობის გამო, ყოველგვარი რეკლამისა და რიტორიკის გარეშე. ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ ამგვარი მოქმედებით, ვგრძნობთ ამ ალტრუიზმის სილამაზეს და ვამბობთ: ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ასეთი მოქალაქენი ჰყავს! მუსოლინის დეპეშა სამოილოვიჩისადმი სისწორით გამოხატავს იტალიის ხალხის სიყვარულისა და მადლობის გრძნობას“.

„მესაჯერო“: „ჩვენ უსაზღვრო სიხარულს განვიცდით „იტალია“-ს ეკიპაჟის სასწაულებრივი გადარჩენის გამო. ეს სასწაული ეკუთვნის სწორედ იმ მეგობრული ქვეყნის მეზღვაურებს, რომელმაც პირველად გაიგონა გაჭირვებაში ჩავარდნილთა მოწოდების ხმა. ყველა იტალიელი მადლობას უძღვნის ამ ქვეყანას“.

„ნიუ-იორკ ტელეგრაფ“-ი: „ერი, რომელიც დღემდე არ არის ცნობილი ვაშინგტონის მიერ, უცებ გამოვიდა გმირად ომის შემდგომი ხანის უდიდეს დრამაში. მთავრობას, რომლის წარმომადგენლებსაც პატივისცემით არ ეკიდებიან ჩვენში, ესმის, თუ როგორ სახელგანთქმულნი ხდებიან მისი ავიატორები და მეზღვაურები ყველა ქვეყანაში. რეჟიმი, რომელსაც ყველა ავად იხსენიებს, დამხსნელის უცნაურ როლში გამოდის. საბჭოთა მთავრობა შეიძლება დიდი ხნით დარჩეს ჩვენი ოფიციალური ცნობის სფეროს გარეშე, მაგრამ ილიუზია, რომელიც 1917 წლიდან ჰკვებავდა იმ აზრს, ვითომც ახალმა რუსეთმა ბოლო მოუღო ჩვეულებრივ გმირობას,—ამ ილიუზიას ეხლა თვითონ მოეღო სამუდამოდ ბოლო“.

„ვოლონტე“: „კრასინ“-ის წარმატება წითელი რუსეთის **შეკავშირებული ძალისა და მეცნიერების ტრიუმფს** წარმოადგენს, რადგან ექსპედიციის ხელმძღვანელობა და შესანიშნავი მეთოდები, რომლებსაც მათ მიმართეს, ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერების ნაყოფია. „კრასინ“-ის მეოხებით ფსიქოლოგიური კონტაქტი მყარდება ახალ რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნ“-ი: „რადიო-კავშირი საბჭოთა ექსპედიციის ცალკე ნაწილებს შორის **სამაგალითოდ** იყო დაყენებული, რასაც ხაზი უნდა გაესვას იმის გამო, რომ რადიო-კავშირის გაბმა გემსა და ჰაეროპლანს შორის მეტად ძნელია პოლიარულ პირობებში. ამერიკელებმა დღემდე **არ იცოდნენ,** რომ საბჭოთა კავშირს უდიდესი კვალიფიკაციის რადიო-ექსპერტები ჰყავს. რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა მეცნიერებმა უდიდესი ყურადღება მიაქციეს ცოდნის ახალ დარგებს. სიღარიბე და განმარტოვება, რომელიც გზას ულობავდა საბჭოთა სპეციალისტებს, როგორც საბჭოთა ყველა მეცნიერს, და მრავალი სხვა დაბრკოლება მათში იწვევდა მხოლოდ უფრო მხნე მუშაობის ხალისს ცოდნის გაუმჯობესებისათვის, და ამგვარად ჩვენ ვხედავთ **უჩინარ გმირებს,** რომელთაც საბჭოთა ექსპედიციის რადიო-მუშაობა **მიუწვდომელ სიმაღლემდე** აიყვანეს“.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი: „ამ გემმა, რომელიც მშვენივრად იყო მოწყობილი და რომელსაც გამოცდილი ხელი მეთაურობდა, სძლია ყველა დაბრკოლება და დამშვიდებულად და გეგმაშეწონილად მიაღწია მიზანს. ეს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ყოველივე ეს გაკეთდა **მაღალფარდოვანი სიტყვებისა და ბაქიაობის გარეშე. ბოლშევიკებს უდიდესი თემა მიეცა პროპაგანდისათვის“.**

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი: „იმ დროს, როცა სხვები ხმაურობდნენ და ტრაბახობდნენ, რუსები მაღალ-ფარდოვანი ფრაზების გარეშე, უხმოდ მუშაობდნენ ექსპედიციის გადასარჩენად“.

„როტე ფანე“: „ორი მსოფლიო სდგას პირისპირ: ერთ მხარეზე დანაშაულებრივი ქარაფშუტობა, ბუტაფორული მოქმედება და იმპერიალისტური ზრახვები, ხოლო მეორე მხარეზე—**საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ გაგზავნილი პირები,** რომლებიც მათთვის ბუნებრივი თავგანწირულებით მოქმედებენ, იმ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასმა გაიმარჯვა, ტექნიკა და მეცნიერება ემსახურებიან კაცობრიობის პროგრესს მუშათა სახელმწიფოს მსოფლმხედველობასთან შეფარდებით“.

„ლიუმანიტე“: საბჭოთა ექსპედიციამ შემთხვევით არ მიაღწია წარმატებას, იქ, სადაც ყველა სხვამ მარცხი განიცადა“.

ინტერესების მთლიანობა

ვენა, 13 ნოემბერი. მთელი რუმინეთის პრესა მეთაურ წერილებს უძღვნის პოლონეთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავს. ამ წერილებში განსაკუთრებით აღნიშნავენ პოლონეთისა და რუმინეთის, როგორც საბჭოთა კავშირის მეზობლების, ინტერესების მთლიანობას. (ადს).

ნობელის პრემია

სტოკჰოლმი, 13 ნოემბერი. შვეციის აკადემიამ ნობელის პრემია ქიმიაში მიუსაჯა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორს ვილანს და გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორს ვინდაუზს. (ადს).

სტოკჰოლმი, 13 ნოემბერი. შვეციის აკადემიამ ნობელის 1927 წლის პრემია ლიტერატურაში მიუსაჯა ფრანგ ფილოსოფოსს ანრი ბერგსონს, ხოლო 1928 წ. ნორვეგიელ მწერალ ქალს სიგრიდ უნდსეტს. (ადს).

ჩან-ხუან-სიანის დაპატიმრება

ხარბინი, 13 ნოემბერი. როგორც ხარბინის იაპონური გაზეთები იუწყებიან, მუკდენში გაწვეული აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის (წინად ეს რაიონები აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ფარგლებში შედიოდნენ) მთავარ სარდალი ჩან ხუან-სიანი 10 ნოემბერს დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. იაპონიის პრესა დიდი ხნის განმავლობაში მტრულ კამპანიას ეწეოდა ჩან ხუან-სიანის წინააღმდეგ და ბრალს სდებდა: მას ანტიიაპონური მოძრაობის წაქეზებასა და მოწყობაში. (ადს)

ლატვიის პრეზიდენტის მოკვლის განზრახვა

რიგა, 13 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, 12 ნოემბერს სადგურ მიტავასთან, როცა პრეზიდენტის მატარებელს უნდა გაევლო ნახეს ისარზე დადებული ცული, რომელიც დროზე შეამჩნიეს. მატარებელი შეჩერებულ იქნა. (ადს)

ჩაიშალა გერმანია-უნგრეთის მოლაპარაკება

ვენა, 13 ნოემბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, გერმანიის დელეგატები, რომელნიც რამდენიმე დღის წინად ჩავიდნენ იქ გერმანიასა და ჰუნგრეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ მოსალაპარაკებლად, ისევ დაბრუნდნენ ბერლინში. **მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან შეუძლებელი გახდა შეთანხმება** აგრარულ პროდუქტებზე საბაჟო გადასახადის საკითხში. უნგრეთის პრესა გერმანიას უსაყვედურებს რომ ის უნგრეთს სხვა ქვეყნებზე უფრო არახელსაყრელ პირობებს უყენებს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ, გერმანიის მხრით, ყველაზე უფრო მეტი შეღავათით სარგებლობს საბჭოთა კავშირი, შემდეგ რუმინეთი და ჩეხო-სლოვაკია. გერმანია აიძულებს უნგრეთს, მისცეს მას ყველა შეღავათი, რომლითაც სარგებლობენ მესამე სახელმწიფოები. **გაზეთები იხილავენ პოლონეთსა და უნგრეთს შორის აგრარული და სავაჭრო-პოლიტიკური პაქტის დადების გეგმას. ამ პაქტს, რომელიც მიმართული იქნება გერმანიის წინააღმდეგ, შემდეგ უნდა შეუერთდნენ შუა ევროპის სხვა აგრარული ქვეყნებიც.** (ადს).

ავსტრიის პრეზიდენტის რწმუნებათა გაგრძელების გეგმა

ვენა, 18 ნოემბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„უახლესთა საპარლამენტო საბჭოს სხდომაზე კანცლერმა ზეიპელმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ავსტრიის ეხლანდელ პრეზიდენტს გაინიშს საკანონმდებლო წესით რამდენიმე ხნით გაუგრძელდეს რწმუნებათა ვადა იმ ნდობის გამო, რომლითაც იგი მოსახლეობას შორის სარგებლობს. ამ ხნის განმავლობაში უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩეულ იქნება უშუალოდ მოსახლეობის მიერ, ამავე დროს გაფართოვდება პრეზიდენტის რწმუნებანი მთავრობის დანიშვნისა და ეროვნულ საბჭოს დაშლის საკითხში.

ვენის ბურგომისტრმა ზეიცმა სოციალ-დემოკრატების სახელით განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია პრინციპიალურად წინააღმდეგია პრეზიდენტი მოსახლეობამ აირჩიოს, ვინაიდან პარტია ამაში ხედავს საფრთხეს დემოკრატიისათვის.

შენიშვნა: ავსტრიის ეხლანდელი პრეზიდენტის გაინიშის რწმუნებათა ვადა თავდება 6 დეკემბერს. ავსტრიის მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს 4 წლის ვადით ირჩევს ნაციონალური საბჭოს და საკავშირო საბჭოს გაერთიანებული სხდომა. მთავრობას ირჩევს ნაციონალური საბჭო. ნაციონალური საბჭოს დათხოვნა შეიძლება მხოლოდ ამავე საბჭოს დადგენილებით. უნდა აღინიშნოს, რომ გაინიშის რწმუნებათა ვადის გადიდების გეგმა პირველად წამოაყენეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც ეშინოდათ, რომ ბურჟუაზიული პარტიები გაიყვანდნენ სხვა უფრო რეაქციონურ კანდიდატს. მაგრამ ბურჟუაზიული პარტიები სავსებით დაეთანხმნენ ამ გეგმას და მას დაუკავშირეს პარლამენტის უფლების შეზღუდვისა და პრეზიდენტის ძალაუფლების გაძლიერების გეგმა. (ადს).

კომუნისტების პროცესი ზაგრებში

ვენა, 18 ნოემბერი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებული ცნობით, კომუნისტების პროცესზე ზაგრებში დაჰკითხეს ბრალდებულებს ნოვოსელიჩს, ბრეიერს, ბროზს და სხვებს. ნოვოსელიჩმა განაცხადა, რომ ის არის სამხრეთ-სლავიის კომპარტიის წევრი. ნოვოსელიჩმა უარი განაცხადა ორგანიზაციის წევრთა და პარტიის ხელმძღვანელთა გვარების დასახელებაზე.

ბროზმა განაცხადა, რომ ის ეკუთვნის სამხრეთ-სლავიის კომპარტიას და არ სცნობს კანონს სახელმწიფოს დაცვის შესახებ, რომლის ძალითაც ისინი სამართალში არიან მიცემული. მის ბინაზე აღმოჩენილი რევოლიუციონური ლიტერატურა ბროზმა თავისად სცნო, მაგრამ გადაჭრით უარჰყო ბრალდება ყუმბარების შენახვაში. ყუმბარები, მისი სიტყვით, პოლიციამ შეუგდო მას ოთახში. დასასრულ, ბროზმა განაცხადა, რომ პოლიცია წამების საშუალებით შეეცადა მის გამოტეხას.

ბრალდებულმა ბრეიერმა განაცხადა, რომ ის არ იცნობს არც ერთ ბრალდებულს და დაპატიმრებულია შემთხვევით.

„დღემდე არ ვყოფილვარ კომუნისტი,—სთქვა ბრეიერმა,—მაგრამ ის, რაც პოლიციაში გადამხდა, უეჭველად გამხდის კომუნისტად“-ო.

ბრალდებულთა უმრავლესობისათვის პროკურორი მოითხოვს სიკვდილით დასჯას და დაპატიმრებას 20 წლით. (ადს).

მხარს უჭერენ კომინტერნის ხაზს

ბერლინი, 13 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინ ბრანდენბურგის საოლქო კომიტეტმა, ტელმანის მოხსენების შემდეგ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით შეესაბამება კომინტერნის კონგრესის გადაწყვეტილებებს. შეიდმა შემარიგებელმა ხმამ მისცა რეზოლიუციას შენიშვნებით.

პარტიის ბერლინის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკთა კრებაზე ასეთივე რეზოლიუცია მიღებულ იქნა 51 ხმის უმეტესობით ერთი ხმის წინააღმდეგ. (ადს)

ამხ. სარქისის აღდგენა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში

მოსკოვი, 24 ნოემბ. საკავშირო კომპ. (ბ) ცეკას პარტკოლეგიამ 9 ნოემბერს მიიღო შემდეგი დადგენილება.

რადგან ამხ. სარქისმა შემოიტანა განცხადება, რომელშიაც მან აღიარა თავისი პრინციპიალური შეცდომები, გაიმიჯნა ტროცკისტების პლატფორმისაგან, დაჰგმო ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა, შესწყვიტა ასეთი მუშაობა და განაცხადა, რომ სავსებით ემორჩილება საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის ყველა დადგენილებას,—ამიტომ აღდგენილ იქნას იგი საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში და მის პირად საქმეებში და პარტბილეთში აღნიშნულ იქნეს, რომ ის გამორიცხვის დღიდან 1928 წლის 9 ნოემბრამდე პარტიაში არ ითვლებოდა. (ადს).

ქალთა შორის მუშაობის ათი წლის თავის გამო

მოსკოვი, 14 ნოემბერი. მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობა მოსკოვში შეიკრიბა 1918 წლის 16 ნოემბერს, დამთავრდა 21 ნოემბერს. ამიტომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს, მშრომელ ქალთა შორის მუშაობის ათი წლის თავი იდღესასწაულონ ამ ხნის განმავლობაში.

ჭიათურის მარგანეცის საზოგადოების გამოკვლევა

მოსკოვი, 14 ნოემბერი. შესდგა სპეციალური კომისია ჭიათურის მარგანეცის საზოგადოების გამოსაკვლევად. ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციის შემდეგ, რაც მოხდა ორივე მხარის სრული შეთანხმებით, საბჭოთა მარგანეცის, განსაკუთრებით ჭიათურის მარგანეცის, ექსპორტს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. არალოვის კომისიის მიზანს შეადგენს—გამოიკვლიოს არა მარტო ჭიათურის საზოგადოების მეურნეობა, არამედ ამ რაიონის წარმოების გაფართოვების მაქსიმალური შესაძლებლობა. კომისია უახლოეს დღეებში გაემგზავრება ჭიათურაში. გამოკვლევა უნდა დამთავრდეს ერთ თვეში. ეს საჭიროა იმიტომ, რომ დადებულია ხელშეკრულებები გერმანულ ფირმასთან,—„რაბაკ და გრიუნფელდ“-თან (ეს ფირმა უდიდესია ევროპაში) და ამერიკის ფირმასთან—„ბეტლენენ სტილ კორპორეიშენ“-თან. კომისიის მუშაობას აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენი მარგანეცის ექსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმ მხრივაც, რომ ევროპის ბაზარი ცდილობს განთავისუფლდეს ინდოეთის მარგანეცის დამოკიდებულებისაგან. მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასები სავსებით ხელსაყრელია საბჭოთა მარგანეცის ექსპორტისათვის: ფასები მტკიცეა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მათი აწევა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თავის თავის შიში

მოსკოვი, 14 ნოემბერი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

კამათი რეიხსტაგში ლოკაუტის შესახებ ლითონის მრეწველობაში მეტად მოდუნებულად მიმდინარეობს. საკითხმა ჯავშნოსანის აგების შესახებ სრულიად დაჩრდილა ლოკაუტის საკითხი. რეიხსტაგის წრეებში შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ შესაძლებელია გავიდეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პროექტი ჯავშნოსანის აგების შესახებ. სოციალ-დემოკრატებს თვით ეშინიათ, საკუთარი წინადადების მიღების. როგორც ცნობილია, გერმანიას სოციალ-დემოკრატიამ ტაქტიკური მოსაზრებით, რომ დაეშოშმინებია საკუთარი მასები, გადასწყვიტა წინადადება შეეტანა რეიხსტაგში ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ჯავშნოსანის აგების საკითხი მაინც დადებითად გადაწყდებოდა სხვა პარტიების ხმების უმრავლესობით.

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

მოსკოვი, 14 ნოემბერი. „იზვესტია“-ს საკუთარი კორესპონდენტი რიგიდან იტყობინება:

ლატვიის მთავრობის კრიზისი გრძელდება. სოციალ-დემოკრატების ცდა, რომ შეედგინათ მთავრობა, უშედეგოთ დამთავრდა. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობის შედგენა მიენდობა გლეხთა კავშირს, რომელსაც მხარს დაუჭერენ ცენტრის პარტიები.

ასიგნოვები ბათომისა და ფოთის ნავთსადგურების მშენებლობისათვის

მოსკოვი, 14 ნოემბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ წინადადებით მიმართა გზათა სახალხო კომისარიატს, რათა გადადებულ იქნას ასიგნოვები შავი და კასპიის ზღვის ნავთსადგურების მშენებლობისათვის. მიმართვაში აღნიშნულია, რომ საჭიროა დამთავრებულ იქნას ბათომის ნავთსადგურის გადაკეთება, რისთვისაც ამ მიზნით უკვე გადადებული თანხა უნდა გადიდებულ იქნას 1.045 ათას მანეთამდე. ამასვე აღნიშნავს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ფოთის ნავთსადგურის შესახებაც.

საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდა

მოსკოვი, 14 ნოემბერი. საკავშირო საბიუჯეტო კომისიის მდივანმა ამხ. ვეტოშკინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ წინა წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავლის ზრდა ნავარაუდევია 844 მილიონი მანეთის რაოდენობით. შემჩნეულია, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების ცალკე დარგებში მუშაობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაცხოველდა.

„პრავდა“ საქ. სახკინმრეწვის სურათ „ელისოს“ შესახებ

მოსკოვი, 14 ნოემბერი. გაზეთ „პრავდა“-ს რეცენზენტი ამხ. ერმოლინსკი ეხება საქართველოს სახკინმრეწვის ახალ სურათ „ელისო“-ს და სწერს: „ელისო“-ს რეჟისორმა შენგელაიამ სრულიად უკუაგდო ისტორიის ფოტოგრაფიულად გადმოცემის ტრადიციები. საქართველოს სახკინმრეწვს დიდი ხანია ასეთი სურათი არ გამოუშვია.

„ელისო“-ს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთ დეტალების გაურკვევლად გადმოცემა, მაგრამ ამ ნაკლს სავსებით ფარავს ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც სურათისაგან რჩება მაყურებელს.

უკანასკნელი ცნობები

ლოიდ ჯორჯი საბჭოთა წინადადების შესახებ

ლონდონი, 14 ნოემბერი. ლოიდ ჯორჯი თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის შეეხო საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ. „მე დიდ შეცდომად ვსთვლი,—სთქვა მან,—რომ საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ მოეკიდნენ მხოლოდ ისე, როგორც საბაბს დაცინვისათვის. იმ დროს, როცა ეს უდიდესი ქვეყანა ეკონომიურად აღდგება, მეტად საშიში იქნება ასეთი სახელმწიფოს არსებობა, რომელსაც აქვს ადამიანთა მასალის განუსაზღვრელი მარაგი და რომელსაც ჰყავს მთელ მსოფლიოში ყველაზე უშიშარი და თავდადებული, და ამასთანავე საუცხოვოდ შეიარაღებული ხალხი. თუ საბჭოთა მთავრობა ეკონომიური მოსაზრებით შესაძლოთ სცნობს განიარაღებას, ან შეიარაღების შემცირებას, უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდებოდით მის მიერ წამოყენებულ წინადადებებს“. (ადს).

კამათი რეიხსტაგში ლოკაუტის შესახებ

ბერლინი, 14 ნოემბერი. რეიხსტაგში კამათი გაიმართა რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობაში ლოკაუტის გამოცხადების გამო. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით გამოვიდა გერმანიის მელითონეთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრანდეკი, რომელმაც საერთოდ განიმეორა შრომის მინისტრის—სოციალ-დემოკრატ ვისელის საბუთები. ნაციონალისტმა ლინდეინერ-ვილდაუმ განაცხადა, რომ მწარმოებლები არ მიმართავენ ლოკაუტს მხოლოდ მაშინ, თუ პროფკავშირები უარს განაცხადებენ გაფიცვაზე. (ადს).

ლოკაუტგამოცხადებულ მუშების ნამდვილი მეგობრები

ბერლინი, 14 ნოემბერი. რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობის ლოკაუტგამოცხადებული მუშების მიერ არჩეულმა ბრძოლის ხელმძღვანელ ცენტრალურმა კომიტეტმა ბერლინში გაგზავნა უდიდეს წარმოებათა წარმომადგენლების დელეგაცია, რომელსაც ევალება რეიხსტაგის ფრაქციებთან გამართოს მოლაპარაკება მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ცენტრის პარტიის წევრმა („ქრისტიანული“ პროფკავშირების ბელადმა) შტეგერვალდმა განაცხადა, რომ დახმარება უნდა მიეცეს მხოლოდ უმუშევრებსო. სოციალ-დემოკრატმა ბრინდესმა, (გერმანიის მელითონეთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი) ორჭოფული პასუხი გასცა, ხოლო მოტცმა (იმავე კავშირის ერთ-ერთი მოღვაწე) არსებითად პასუხის გაცემის ნაცვლად გადაჭრით განაცხადა უარი „შეუკავშირებელ მუშებთან თანამშრომლობაზე“. მხოლოდ რეიხსტაგის კომფრაქცია დაჰპირდა, რომ გადაჭრით აღმოუჩენს დახმარებას ყველა ლოკაუტგამოცხადებულ მუშებს. (ადს).

რეფორმისტების გამცემლობის საფრთხის წინაშე

ბერლინი, 14 ნოემბერი. პროფკავშირებისა და მწარმოებელთა წარმომადგენლების თათბირზე, რომელიც გუშინ შესდგა ბერგემანთან (სოციალ-დემოკრატი—დიუსელდორფის მთავრობის კომისარი) გამოირკვა, რომ ორთავე მხარე მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება. მწარმოებლები აყენებენ შემდეგ პირობებს: მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს, სამუშაო ხელფასი მუშებს უნდა მიეცეს მხოლოდ მუშაობის განახლების შემდეგ. პროფკავშირთა ბელადები ამზადებენ კაპიტულაციას მწარმოებელთა წინაშე და განზრახვა აქვთ მუშაობა განაახლონ უახლოეს დღეებში. ასეთი მდგომარეობის გამო ბრძოლის ხელმძღვანელი ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ სცნობს ყველა წარმოებებში დაუყოვნებლივ მოეწყოს აქტიური თავდაცვა ყოველგვარი შტრეიკბრეხერობის წინააღმდეგ, შესწყდეს მუშაობა უშიშროების დარგში, გაძლიერდეს თანხების შეგროვება და ყველა წარმოებებში მოწვეულ იქნას მუშათა საერთო კრებები. კრებებზე მუშებს უნდა განემარტოს რეფორმისტების გამცემლური გეგმები და მიღებულ უნდა იქნას ზომები ამ გეგმების ჩაშლისათვის. (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

რიგა, 14 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავთან დაკავშირებით უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მხოლოდ რიგაში დაპატიმრებულ იქნა 30 კაცი „ერთი საათის გაფიცვებში მონაწილეობისათვის, რომლებიც 7 ნოემბერს ჩატარდა ფაბრიკებსა და ქარხნებში“. დაპატიმრებულია მუშურ-გლეხური ბლოკის გაზეთის „დარბ ხენ-მაიზე“-ს რამდენიმე თანამშრომელი მუშურ-გლეხურმა ფრაქციამ სეიმში შეიტანა შეკითხვა მასიურ დაპატიმრებათა გამო (ადს).

პრესა გზას უკაფავს გუვერს

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. გუვერი ლათინურ ამერიკაში გამგზავრებას აპირებს. ამის გამო პრესა ფართო მოსამზადებელ კამპანიას აწარმოებს იმით, რომ აქვეყნებს ლათინური ამერიკის მრავალი მთავრობისა და სახელმწიფოს ოფიციალურ დეკლარაციებს და მისალმებებს.

არგენტინის მთავრობა სდუმს (ადს).

ახალგ. კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებას ემხრობიან

ბერლინი, 14 ნოემბერი. გერმანიის კომკავშირის კონფერენციამ ყველა ხმებით ერთის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ყოველგვარი პირობის გარეშე უერთდება ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებებს გერმანიის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცეკა საშეფო მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 14 ნოემბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკამ მოისმინა სოფლად მუშაობის განყოფილების მოხსენება საშეფო მუშაობის შესახებ და არსებითად მოიწონა განყოფილების მითითებანი საშეფო მუშაობის საკითხში. ცეკამ წინადადება მისცა განყოფილებას, განსაკუთრებულად თვალყური ადევნოს ერთისა თუ ორი მსხვილი საშეფო საზოგადოების მუშაობას ამ მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. ამ დადგენილების თანახმად, ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებამ გამოჰყო მოსკოვისა და ლენინგრადის საშეფო საზოგადოებები. განყოფილება საბჭოთა ხაზით შუამდგომლობს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ საშეფო საზოგადოებებს მიეცეთ შეღავათები გადასახადების გადახდის დროს და სხვა შემთხვევებში ისე, როგორც სხვა ნებაყოფლობით ორგანიზაციებს (თავდაცვა-ავიაქიმის, ავტოდორს).

ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებისა და ცენტრალური საშეფო კომისიის დადგენილებაში საშეფო მუშაობის შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება და ცენტრალური საშეფო კომისია აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი 1½ 2 წლის განმავლობაში საშეფო ორგანიზაციების მუშაობა მეტის-მეტად შენელებულ იქნა. ამას შედეგად მოჰყვა მუშათა შეფობის, როგორც სოფლად კომუნისტური იდეების გამტარებლის და სოციალიზმის ორგანიზატორის, პოლიტიკური როლის შესუსტება. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სწორედ ამჟამად, როდესაც მუშათა კლასი ახლო მიუდგა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანათა განხორციელებას, როდესაც იმავე სოფელში გამწვავებულია კლასობრივი ბრძოლა, საშეფო საზოგადოებებს, როგორც მუშათა მასების ორგანიზაციებს, განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევათ. უნდა მოხდეს სრული გარდატეხა მუშათა ფართო მასების აქტიურად ჩაბმის საქმეში და გადაჭრილი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს საშეფო საზოგადოებებში შემჩნეულ ბიუროკრატიზმს. საშეფო ორგანიზაციამ თავისი გეგმა უნდა ააგოს საშეფო რაიონის კონკრეტული პირობების ცოდნის საფუძველზე და თავისი მუშაობა უსათუოდ შეუთანხმოს ადგილობრივ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გეგმებს“.

დადგენილება საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ისინი ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები გლეხთა მასებთან უშუალო კავშირისა და მათზე პოლიტიკური გავლენის გაძლიერებლად.

„საჭიროა,—ნათქვამია დადგენილებაში,—გაცილებით უფრო ფართოდ გადაიშალოს ჯერ კიდევ სუსტად წარმოებული მუშაობა სათვისტომოთა მოსაწყობად, რომელთაც ცხადჰყვეს ორგანიზაციის ამ ფორმის სარგებლობა საშეფო მუშაობისათვის. საწარმოო კოოპერატივებში ჩაბმის ამოცანები, კოლექტივიზაციის, გლეხთა მასების კულტურული ელემენტების წინააღმდეგ შეტევის ამოცანები, რომელთაც ხაზი გაუსვა მე-15 ყრილობამ, როგორც ძირითად ამოცანებს მთელი მუშაობისა სოფლად, ასეთივე ამოცანებად უნდა დარჩნენ საშეფო მთელი მუშაობისათვის.

კოოპერატივი, კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა სამეურნეო სკოლა, სალიკვიდაციო პუნქტი და სამკითხველო შეფების მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცნენ.

მუშათა შეფობამ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაციის და აღზრდის საქმეს, უშუალოდ კავშირი დაამყაროს ღარიბი გლეხების ჯგუფებთან და სოფლის მოჯამაგირეთა ორგანიზაციებთან, ხელი შეუწყოს გლეხი ქალების სადელეგატო კრებებს, ამასთან მუშათა შეფობა პარტუჯრედთან ერთად უნდა გადაიქცეს თვითკრიტიკის ორგანიზატორად, სოფელში პარტიული ხაზის გადამახინჯებისა და გამრუდების მამხილებლად, კულაკობასთან ბრძოლის დამწყებად.

თვითკრიტიკის გადაშლის საფუძველზე და გლეხთა მასების თვითმოქმედების ზრდის ნიადაგზე ორგანიზაციები ხელს უწყობენ აპარატის გაწმენდას სოციალურად უცხო (კულაკურ) და უვარგის ელემენტებისაგან. ამასთან ისინი ღებულობენ სხვადასხვა ზომებს იმისათვის, რომ მომზადებულ იქნან საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში დასაწინაურებლად ახალი კადრები, პირველ რიგში, სოფლის მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების აქტივებიდან. ამავე დროს თვით საშეფო ორგანიზაციები ამზადებენ თავიანთი კადრებიდან ამხანაგებს სოფლად საბჭოთა ქვედა აპარატებში მუდმივი მუშაობისთვის გასაგზავნად. ამავე მიზნებით საშეფო ორგანიზაციებმა მეტად ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარებაში.

ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებას და საშეფო კომისიას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნიათ ის პასიური დამოკიდებულება შეფობასთან და ხანდისხან პირდაპირ აბუჩად აგდება მისი პროფკავშირების მხრივ, და ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან მოითხოვენ, რომ მათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საშეფო მუშაობის განვითარებას; კერძოდ მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ შეფობის საკითხები განხილულ იქნას პროფკავშირთა მომავალ საგუბერნიო და საოლქო კონფერენციებზე. საჭიროა აგრეთვე ზომების მიღება საშეფო საზოგადოებებში კომკავშირელთა ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებლად. საჭიროა, პრესამ უფრო ფართოდ გააშუქოს შეფობის იდეები და მისი პრაქტიკა მუშათა კლასის საერთო ამოცანების მიხედვით. საშეფო ორგანიზაციების ფინანსიური ბაზის გაძლიერების მიზნით დაშვებულ უნდა იქნას პრაქტიკაში ნებაყოფლობითი მუშაობის შემოღება, აგრეთვე შაბათობა საშეფო ორგანიზაციების სასარგებლოდ (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა

პროფორგანიზაციებს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ

მოსკოვი, 14 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ მიმართვა დაუგზავნა პროფორგანიზაციებს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ. მიმართვაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„მუშათა კლასის და მისი ორგანიზაციების ბრძოლა სოციალიზმის მიმართ მტრულად განწყობილ ძალებთან, ისევე, როგორც მთელი სოციალისტური მშენებლობის საქმე, ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე, მის მიღწევებსა და დეფექტებზე. ამიტომაც ბრძოლა აპარატის გაჯანსაღებისა და განმტკიცებისათვის, მისი გაიაფებისათვის ჩინოსან ბიუროკრატებისაგან გაწმენდისათვის და მისი მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის წარმოადგენს მუშათა კლასის უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანას.

პროფკავშირებისა და საბჭოების ინტერესების განუწყვეტელი კავშირი პროლეტარიატის პარტიის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) აუცილებელი საერთო ხელმძღვანელობით,—ასეთია ის ძირითადი იდეა, რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს საბჭოთა პროფკავშირების პროპაგანდა და აგიტაცია საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს.

საჭიროა თავის დროზე და ყოველმხრივ განვუმარტოთ პროფკავშირების წევრთა ფართო მასებს, რომ ისინი უშუალოდ დაინტერესებულნი არიან საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებით და ამის გამო მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოების მომავალ გადარჩევაში.

მიღებულ უნდა იქნას ყოველი ზომა მუშათა ფართო მასების ორგანიზაციული, სააგიტაციო და საპროპაგანდო მომზადებისათვის. პროფკავშირების ადგილობრივი ორგანიზაციები ამ დროს უნდა განთავისუფლებულ იქნან სხვა კამპანიების ჩატარებისაგან.

საერთო ზეპირ ანგარიშებთან ერთად, რომლებიც მაქსიმალურად მოკლე და კონკრეტიული უნდა იყოს, კრებებზე მოხსენებები უნდა გააკეთონ ამა თუ იმ წარმოებიდან, ან საამქროდან და წყებიდან საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა საბჭოების მიერ ჩატარებული მუშაობის და, როგორც საერთო დავალების ისე განსაკუთრებით იმ დავალებათა შესრულების შესახებ, რომლებიც მიღებულია ამ წარმოებაში ან საამქროში საბჭოების წარსულ არჩევნებზე.

მსხვილ წარმოებებში ასარჩევი დეპუტატების კანდიდატურები წინასწარ უნდა იქნან განხილულნი საამქროს და წყების კრებებზე თუ საამქროში ან წყებაში მუშაობს იმდენი მუშა, რომ მათი რიცხვი საკმაოა არჩევნებისათვის.

მთელმა პროფაქტივმა წინასწარ სათანადო ინსტრუქციების მიღების შემდეგ, რამდენადაც შესაძლებელია, უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საანგარიშო და საარჩევნო კრებებში.

საბჭოების ასარჩევად წამოყენებულ უნდა იქნან არა მარტო ის დეპუტატები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარსული მოწვევის საბჭოს მუშაობაში, არამედ, უმთავრესად, იმ მუშების ახალი კანდიდატურებიც, რომლებიც ავტორიტეტით და ნდობით სარგებლობენ მუშათა მასაში.

საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივმა კომიტეტებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას რომ ამა თუ იმ წარმოებიდან, საამქროდან და წყებიდან საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა თავის დროზე მიაწოდონ ამომრჩევლებს ინფორმაცია საბჭოს ყველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების შესახებ.

პროფკავშირთა ორგანოებმა, განსაკუთრებით საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებმა, ყურადღებით უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ დეპუტატები პერიოდულად ამოწმებდნენ თუ რამდენად ასრულებენ საბჭოები დავალებებს, განსაკუთრებით დავალებათა იმ ნაწილს, რომელიც ამ წარმოებას ეხება.

საჭიროა გადაისინჯოს პროფკავშირთა საბჭოების წევრების პროფკავშირული და საზოგადოებრივი მოვალეობებით დატვირთვა, რათა მათ საშუალება მიეცეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში. დეპუტატებმა წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ჩააბარონ ამომრჩევლებს ანგარიში თავიანთი მუშაობის შესახებ.

სოფლად პოლიტიკური მდგომარეობის სირთულე აყენებს პროფკავშირების წინაშე ამოცანას—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოების გადარჩევის მსვლელობას სოფლად.

პროფკავშირებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საბჭოების მომავალი არჩევნების კამპანიაში ყოველ მხრივ ჩაბმულ იქნან სოფლის მუშები, მოჯამაგირეები, მწყემსები; საბჭოთა მეურნეობების მუშები, სეზონურად მომუშავეები, გარე სამუშაოზე გამსვლელები; მასწავლებლების; აგრონომების; მიწადმომწყობის და სხვ. ფართო ფენები, რათა არჩევნების პროცესში სოფლად პოლიტიკურად განმარტოებულ იქნას კულაკი და საბჭოების ირგვლივ დაირაზმოს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფართო აქტივი.

სამრეწველო მუშების და მათი კავშირების ამოცანაა დაეხმარონ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფენებს მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაში, დაეხმარონ მათ საშუალო გლეხის გამოსაყვანად კულაკის, ხუცესის და ბიუროკრატის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამით უზრუნველჰყონ ქალაქის პროლეტარიატის მტკიცე კავშირი სოფლის მშრომელთა ძირითად მასებთან. მომავალ საარჩევნო კამპანიაში პროფკავშირები უნდა შეუდგნენ ინდუსტრიალური კავშირების აქტიური მუშაკების გაგზავნას არჩევნების ჩასატარებლად სოფლად“ (ადს).

პარტიაში

ერთსულოვანი ბრძოლა მემარჯვენე გადახრას

სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის პირველყოვლისა საჭიროა პარტიის მთლიანობა, მისი ფოლადისებური სიმტკიცე.—მემარჯვენე ელემენტები ცდილობენ პარტიას დაახევინონ უკან მე-15 პარტყრილობის დადგენილებებიდგან.—ტროცკიზმის ნაშთებთან ბრძოლის შეუსუსტებლად ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ

პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად

ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში ამხ. **მორჩილაძის** თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის გაფართოებული პლენუმი აქტივთან ერთად.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მემარჯვენე საფრთხის შესახებ პარტიაში; 2) ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების კამპანია; 3) მშრომელ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების ათი წლის თავის დღესასწაული; 4) პარტიაში მიღება და გადარიცხვა; 5) მიმდინარე საკითხები.

მემარჯვენე საფრთხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **რუბენმა** (მოხსენების დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ).

კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **მგალობლიშვილმა, რუხაძემ, ვარამაშვილმა, კუდრიავცევმა, ჯილალზიგოვმა, იანუშევსკაიამ, ინწკირველმა, კანდელაკმა, ადამაძემ, სუხიშვილმა, მორჩილაძემ და სეფმა.**

კამათის დამთავრების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე და წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, რომლის შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

ქალაქის რაიონის პლენუმმა აქტივთან ერთად მოისმინა რა ამხ. **რუბენის** მოხსენება ჩვენს პარტიაში არსებული მემარჯვენე საფრთხის შესახებ, მთლიანად და სავსებით უერთდება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილებას, რომელიც იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი.

ამავე დროს პლენუმი სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ც. კ.-ის ხელმძღვანელობით და მოსკოვის პარტიული მასების დახმარებით, მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის საკონტროლო კომისიამ გამოასწორეს ჩადენილი შეცდომები და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაქციეს ბრძოლას მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ; რომლებიც სოციალისტურ მშენებლობასთან და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქტიულ პერიოდთან დაკავშირებულ სიძნელეთა შედეგია. ამ სიძნელეთა საფუძველზე ღრმავდება მემარჯვენე გადახრის საფრთხე.

სიძნელეთა და ბურჟუაზიულ ელემენტების ზეგავლენით ჩვენი პარტიის ზოგიერთ ნაწილებში თავს იჩენს უმცირესი წინააღმდეგობის გზით წასვლის ტენდენცია; რომელიც მდგომარეობს შემდეგში: შევანელოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი და მით ქალაქისა და სოფლის კულაკურ - კაპიტალისტურ ელემენტებისათვის დათმობის გზას დავადგეთ; ეს ცხადია, მუშათა კლასის სიფხიზლის მოდუნება იქნება.

პარტია კი გაჭირვებიდან გამოსავალს ხედავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემდგომს განვითარებაში და მისი ახლანდელი ტემპის აუცილებლად შენარჩუნებაში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საწინდარია მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის, მანქანათმშენებლობის განვითარება, სოფლის მეურნეობის გაძლიერება და გლეხობის მილიონიან წვრილ მეურნეობათა გარდაქმნა კოლექტიურ საფუძველზე.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის პარტია იდეურად შემჭიდროებული — ფოლადისებურად მტკიცე უნდა იყოს; მან გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყოველგვარი გადახრის, უმთავრესად მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. პარტიამ ამავე დროს ერთს წუთსაც არ უნდა შეანელოს ბრძოლა ხელახლა გამოცოცხლებულ ტროცკიზმის ნაშთების წინააღმდეგ, რომელიც მიუხედავად „მემარცხენე“ ფრაზეოლოგიისა; აშკარა მენშევიზმად გადაგვარდა.

საქართველოს პირობებში, კერძოდ კი თბილისის ორგანიზაციაში მემარჯვენე გადახრა თავის გამოხატულებას ნაციონალურ სულისკვეთებაში და მერყეობაში ღებულობს; რაიც ცხადია, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის ამოცანაა ბრძოლა ყოველგვარ ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ და პარტიული მასების აღზრდა ინტერნაციონალურ ნიადაგზე.

პლენუმი, უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მემარჯვენე საფრთხესთან, ბრძოლას, აუცილებლად სცნობს ეს საკითხი უფრო ღრმად იქნას დამუშავებული, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნია მისი განმეორებით განხილვა, როგორც პარტუჯრედებში, ისე პარტგანათლების ყველა სამოსწავლო ერთეულში.

მემარჯვენე საფრთხის მიფუჩეჩების წინააღმდეგ

მიმდინარე პერიოდში შინაპარტიული მუშაობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ბევრი პარტიული ორგანიზაცია მომენტის ამ საჭიროებას სათანადოთ ვერ ითვალისწინებს. აქედან შესაფერ პრაქტიკულ შედეგს ვღებულობთ. საკითხი, რომელიც ჩვენს მთავარ ყურადღებას უნდა იქცევდეს, ბევრგან დავიწყებულია. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ არის მთელი რიგი პარტიულ ორგანიზაციები, სადაც საკითხი მემარჯვენე გადახრის შესახებ ფორმალურად განხილულ იქნა, სადაც მოისმინეს ერთი ან ორი მოხსენება აღნიშნულ საკითხის შესახებ, წაიკითხეს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების მოწოდება და ამით დაკმაყოფილდნენ. ასეთ ორგანიზაციებთან ერთად არიან ისეთებიც, რომელთაც ჯერ არც კი განუხილავთ საკითხები მემარჯვენე საფრთხის შესახებ.

ასეთი მდგომარეობა დაუყონებლივ უნდა აღმოიფხვრას. მემარჯვენე გადახრის საშიშროების მიფუჩეჩება მიუტოვებელ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას. საჭიროა მთელი პარტგანათლების ქსელის აქტიურად ამოძრავება, საჭიროა მემარჯვენე გადახრის საკითხი გადაიქცეს მეცადინეობის ცენტრალურ საგნად ყველა ტიპის პარტიულ სკოლებში და წრეებში. ამასთან ერთად აუცილებელია, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი შეიჭრეს ჩვენი პარტიულ ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მემარჯვენე საფრთხის გაშუქებას კონკრეტ პრაქტიკულ საკითხების განხილვის დროსაც.

რომ მუშაობა ამ მხრივ სწორი მიმართულებით წავიდეს, საჭიროა თვით პარტიული აქტივი და საგიტაციო-საპროპაგანდო ძალები გაერკვენ საკითხში სათანადოთ. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის და საკავშირო პარტიულ ცეკას უკანასკნელ პლენუმების დადგენილებათა შესწავლას.

მემარჯვენე გადახრის საფრთხეს საქ. ორგანიზაციებში, თუ მეტი არა, ისეთივე ნიადაგი აქვს, როგორც საკავშირო კომპარტიის სხვა რომელიმე ორგანიზაციაში. ჩვენში არის მთელი ადგილობრივი სპეციფიური პირობები, რომელნიც თავიდანვე ართულებდნენ სწორი პარტიული ხაზის გატარების საქმეს. საქართველოს კომუნისტურ პარტიას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ლენინიზმის სწორი გზიდან ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში და უთუოდ, ღირსეულად შეებრძოლება იმათაც, ვინც შეეცდება პარტიას თავზე მოახვიოს მემარჯვენე ლიკვიდატორული აზრები.

ვ. გ-ნი.

რას მოითხოვდნენ არჩევნების დროს

თბილისის ორგანიზაციის უჯრედების დიდი ნაწილი უკანასკნელ ხანებში ჩვეულებრივი სიმტკიცით აწარმოებს ბრძოლას მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ბიუროების გადარჩევის დროს მემარჯვენე საფრთხეს არ ექცეოდა კუთვნილი ყურადღება. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩატარებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა არ იყო საკმარისი, პარტიული მასის დიდი ნაწილი ვერ იცნობდა მემარჯვენე საფრთხის შინაარს, მის მუშაობას.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ ბიუროების მოხსენების გარშემო მიცემულ შეკითხვებს, რაზედ ლაპარაკობენ ეს შეკითხვები და რაზედ:

„ეხლა ყველგან გაიძახიან, რომ თავი იჩინა მემარჯვენე საშიშროებამ. გთხოვთ განმარტოთ: რაში გამოიხატება ეს საფრთხე?“

„დღეს გადმოსროლილია ლოზუნგი მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ვინ არის ამ გადახრის მეთაური“.

„რათ არ რიცხავენ მემარჯვენე გადახრის მატარებელთ პარტიის რიგებიდან?“, „აქვთ თუ არა მემარჯვენეებს რამე კავშირი ტროცკისტულ ოპოზიციასთან და სხვა“.

ყველა ეს შეკითხვა თვალსაჩინოდ მოწმობს პარტიული მასის წყურვილს—ახლო გაიცნოს მე-15 პარტყრილობის მიერ აღებულ ხაზის გადათვალიერების მომხრენი და ცეცხლი მათ წინააღმდეგ მიმართოს.

პარტუჯრედთა ახალმა ბიუროებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ გარემოებას. იქ, სადაც დღემდე კიდევ არ გამოცოცხლებულა ბრძოლა მემარჯვენე საშიშროებასა და ამ გადახრისადმი „შემრიგებლობითი“ დამოკიდებულების წინააღმდეგ, უნდა გაშლილ იქნას სისტემატიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიის ხაზის გადათვალიერების ცდასთან, წარმატებით ბრძოლისათვის აუცილებელია მისი სათანადოთ შესწავლა. ამიტომაც მემარჯვენე გადახრის შესწავლა, დაუზოგველი ბრძოლის წარმოება მის წინააღმდეგ—გადაუდებელი საკითხია, რომელიც მუდმივად უნდა იდგეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დღის წესრიგში.

ჯ—ელი.

ფხიზლად ვიქნებით

(მთ. სახ. სამღებრო საამქრო)

ამ საამქროს უჯრედს დიდი ხნის ისტორია არ აქვს. იგი სხვა უჯრედებიდან მხოლოდ რამდენიმე ხნის წინად გამოაცალკევეს და დამოუკიდებელ უჯრედათ აქციეს. რასაკვირველია ახალ უჯრედს გაცილებით უფრო ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, რადგან მას პირველ ყოვლისა ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და განმტკიცება ესაჭიროებოდა.

სწორედ ამიტომ უჯრედის მდივანს თავის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებით დიდ მიღწევებზე არ ულაპარაკნია. მომხსენებლის მიერ დაუფარავად იქნა გაშუქებული უჯრედის მუშაობის დეფექტებიც.

მომხსენებელი შეეხო მემარჯვენე გადახრას ჩვენს პარტიაში და აღნიშნა, რომ უჯრედი სავსებით ჯანსაღია ყოველგვარ იდეურ მერყეობისაგან. მიუხედავათ ამისა—სთქვა მან,—ჩვენ მუდამ ფხიზლად ვიქნებით მე-15 ყრილობის დადგენილებათა სადარაჯოზე და, თუ შევამჩნევთ რაიმე გადახრას, ძირშივე ჩავახშობთ მას.

იხსნება კამათი.

— თვითკრიტიკა ჩვენს საამქროში ვერ იყო სათანადოთ გაშლილი, ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ადმინისტრაცია სდევნიდა ყველას, ვინც კი გაბედავდა კრიტიკით გამოსვლას (მაჭარაძე);

— საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საწარმოო თათბირების მუშაობას (უამიეროვი);

— ჩვენს უჯრედში მართლაც დღემდე არ არის შემჩნეული მემარჯვენე გადახრა. ეს რასაკვირველია კარგია, მაგრამ როდესაც ამხანაგები მსჯელობენ პარტიის პოლიტიკის საკითხებზე, ლაპარაკობენ ჩვენი მეურნეობის განვითარების გზების შესახებ, მოსალოდნელია ისინი, ამ საკითხების უცოდინარობის გამო, ასცდნენ სწორ გზას. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა ახალმა ბიურომ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ უჯრედის წევრები ფართოდ გაეცნონ მემარჯვენე გადახრას და პარტიის სამეურნეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს. (გრაცენკო)

დასასრულ კრებამ აირჩია ახალი ბიურო.

სასოფლო პარტ-თათბირის პლენუმი

მეოთხე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე მიწად მოწყობის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ძამანაშვილმა.

მიწად მოწყობა და ჩვენი ამოცანები

(ამხ. ძამანაშვილის მოხსენება).

ამხანაგებო, ჩვენ სასოფლო მეურნეობაში არც ერთი საკითხი არ მოითხოვს იმდენს შესწავლას, აზრთა გაცვლა გამოცვლას, რამდენსაც მიწის საკითხი. ამ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და უნდა აღინიშნოს, რომ მას დღემდე სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული; დღემდე თითქმის ერთხელაც არ მოწყობილა ფართო აზრთა გაცვლა გამოცვლა მიწადმოწყობის საკითხებზე.

წინად ოქტომბ. რევოლიუციამდე საქართველოში სახაზინო მიწათ ითვლებოდა 4453.450 ჰექტარი რაც მიწის საერთო სივრცის 57,7 პრ. შეადგენდა. თავად-აზნაურობას ეჭირა 2.415.612 ჰექტარი ანუ 33.3 პროც. გლეხობას კი ეკუთვნოდა მეტად უმნიშვნელო ნაწილი 6.3 პროც. მეფის გვარეულობას, სამღვდელოებას, ვაჭრებს, ეკლესია მონასტრებს და სხვა. ესენი სრულებით არ ფიქრობდნენ მიწადმოწყობაზე, იმაზედ რომ გლეხს მეტი ნაყოფი მიეღო. გლეხი, რომელსაც მოკლე ვადით ჰქონდა აღებული მიწა მემამულესაგან, სრულიადაც არ ფიქრობდა მის განოყიერებას, რადგან არ იცოდა შემდეგ წელში ეს ნაკვეთი მას დარჩებოდა თუ არა. მეპატრონე კი მიწას იმას მისცემდა, ვინც ღალას გადაიხდიდა. აი ასეთი გაფიტებული, გაუნაყოფიერებული მიწები მივიღეთ რევოლიუციის პირველ დღეებში.

მიწად მოწყობას ჩვენს სოფლებში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს თანახმად № 17 დეკრეტისა. მიწად-მოქმედების კომისარიატს მაშინვე მიეცა წინადადება განეხორციელებია ეს დეკრეტი.

რადგან სოფლებში ზოგიერთ გლეხს ზედმეტი მიწა ჰქონდა, საჭირო შეიქნა მიწის ხელახლად განაწილება. განაწილება ჩატარდა 839 სოფელში და გასტანა 1921 წ.—25 წლამდე. 1924 წელს ზაფხულის პერიოდში 22 ათას მეურნეს ჩამოერთვა 73,820 ჰექტარი მიწა. კომლების მიწად მოწყობა 1925 წლიდან იწყება. შემდეგ კი ჩვენ შევძელით ინდივიდუალურ მიწის მოწყობის დაწყებაც. ეს მუშაობა პირველი მაგალითი იყო საქართველოში. კომლების მიწის მოწყობა დაიწყო 1925 წელს. დღემდე მიწით ინდივიდუალურად სარგებლობს გლეხების 81 პროც.

მომხსენებელს აუარებელი ფაქტები მოჰყავს იმის შესახებ თუ როგორი მუშაობა იქნა ჩატარებული მიწების გაერთიანების არტელის კოლმეურნეობათა მოწყობის, ამხანაგობების, დაარსების და სხვა საქმეში.

— მიწად მოწყობას,— ამბობს მომხსენებელი,— მაშინ აქვს მნიშვნელობა თუ მას თავის დროზე ჩავატარებთ, და თუ გვეყოლება სათანადო ძალები. ამ მხრივ ჩვენ მეტად ჩამორჩენილი ვართ. ჩვენ გვესაჭიროება 235 მიწის მზომელი. ნამდვილად კი გვყავს 80 კაცი. რაც უსათუოდ ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ახალი ხარჯთ-აღრიცხვაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს გეგმას, რადგან მიწადმოწყობისათვის დაახლოებით 1.020 ათასი მანეთი მაინც გვჭირდება.

რაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ, რომ მიწა არ არის მისი კერძო საკუთრება, რომ მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა, და მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება მოაწყოს ის ისე, როგორც მას მოესურვება. ჩვენ გლეხობას არ ვაძლევთ მიწებს საშვილიშვილოდ, არამედ მას ვაძლევთ სამომხმარებლოთ. დუშეთის მაზრაში უღარიბესი გლეხობა გამოსულა მიწის რეფორმის წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სუსტად ვმუშაობთ და ღარიბი გლეხობა კულაკების გავლენის ქვეშ ექცევა.

მიწადმოქმედების კომისარიატის მომავალი გეგმა ასეთია: პირველ რიგში ვაწყობთ კოლექტივებს, არტელებს და კომუნებს. აუცილებლად უნდა მოვსპოთ ხარვეზები (საზღვრები), როგორც ნებაყოფლობით, ისე იძულებითაც. სხვანაირად ამ საკითხის გატარება შეუძლებელია.

ჩვენ ვსცდილობთ მოვაწყოთ კოლექტივები და კომუნები. ძველი სოფელი არსებითად უნდა გარდავქმნათ, რადგან იგი ეხლა არ გამოგვადგება. სოფლის მეურნეობა უნდა მოეწყოს ახალ ტექნიკურ საფუძვლებზე, უამისოდ სოციალიზმის დამყარება შეუძლებელი იქნება.

სერიოზული ყურადღება ექცევა საძოვრების საკითხსაც. საძოვრები ცოტა გვაქვს, საქონელი კი ომის წინადროინდელ რიცხვს აღემატება. მსხვილ ფეხა საქონელი დაკმაყოფილებულია, მხოლოდ წვრილფეხა საქონლის საქმე კატასტროფიულ მდგომარეობაშია. საქართველოში ორ მილიონამდე ცხვარია; საზამთრო საკვები კი მხოლოდ ერთი მილიონი ცხვრებისათვის არის სამყოფი. 700 ათასი სული კი უსაძოვროთ არის დარჩენილი. საძოვრების მოვლას და მის დიდ ნაკვეთებათ დაყოფას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ საძოვრებს მეცხვარეებს ვაძლევთ სეზონიდან-სეზონამდე; ასეთ შემთხვევაში მოსარგებლე არ შეეცდება საძოვრის გაუმჯობესებას. ამისთვის საჭიროა, რომ საძოვრები გაიცეს არენდით განსაზღვრული ვადით, არა ნაკლებ 5 წლისა. ასეთი გზით ჩვენ შევსძლებთ მუშაობის გაუმჯობესებას.

არც ერთი რესპუბლიკა ისე არ განიცდის მიწის სივიწროვეს, როგორც საქართველო. დაახლოვებით სულზე მოდის 0.7 ჰექტარი. მოსახლეობა რომ დავაკმაყოფილოთ საშუალო ნორმით, ჩვენთვის საჭიროა ზედმეტი მიწა 946 ათასი ჰექტარის რაოდენობით. 5 წ. საპერსპექტივო გეგმით მივიღებთ 225 ათას ჰექტარ მიწას (ჭაობების ამოშრობა), მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ იქნება. უნდა გავავრცელოთ შრომითი ტევადობის კულტურები; ნაწილი მოსახლეობისა უნდა გადასახლდეს ჩრდილო-კავკასიაში, სოჭის რაიონში და სხვაგან.

1925—26 წელს ახალ მიწებზე ჩავასახლეთ 140 კომლი, 26-27 წელს მოვაწყვეთ 6 ახალი სოფელი, რომელიც შესდგება 322 კომლისაგან. 27—28 წელს კი მოწყობილ იქნა ერთი სოფელი 113 კომლისაგან. სულ მოწყობილია 15 სოფელი 860 კომლით, რომლებსაც უჭირავს 296. ჰექტარი მიწა.

დღემდე გადასახლების საქმეს არ ჰქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება, ამიტომ მომავალში ერთ-ერთ ამოცანად უნდა იქნეს დასახული გადასახლების საკითხის მოწესრიგება და უმიწაწყლო გლეხების მოწყობა მოხდეს წინასწარ დამუშავებულ გეგმით.

კამათი

მოხსენების დამთავრების შემდეგ გამართულ კამათში გამოსული ამხ. **ადიკაშვილი** (თბილისის აღმასკომი) აღნიშნავს, რომ მიწის განაწილებას ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. მიწები ისე უნდა იქნეს განაწილებული, რომ გლეხობის არც ერთი ფენა (ღარიბი და საშუალო) არ იქნეს უკმაყოფილო. საძოვრებით. უმეტესად კულაკები სარგებლობენ, რადგან ღარიბ გლეხს საქონელი არა ყავს; საძოვრებს კიდევ უფრო მეტი ფასი უნდა დაედვას.

ამხ. გოლიაძე (გორი), ჩატარებულ მიწათმოწყობამ ვერ მოგვცა ისეთი შედეგები, როგორსაც მოველოდით. ორატორი მოითხოვს, რომ მიწები განაწილებული იქნეს უპირველესად ღარიბთა შორის და შემდეგ საშუალო გლეხობის შორის, მიწის მოწყობილობა კი ხელს უშლის კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებას.

ამხ. ბლიაძე (გორი), ჩვენ უნდა ვეცადოთ ღარიბი გლეხობის შეკავშირება და კოლექტიური მეურნეობის განვითარება. ადგილობრივი ორგანიზაციები მიწათმოწყობის საკითხს ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, აგრეთვე მიწის მზომელებს არ ეხმარებიან, რაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს.

ამხ. შარიძე (თბილისი), კოლექტიური მეურნეობის უკეთ მოწყობისათვის აუცილებელია მიწათმოწყობის სწორედ ჩატარება. მიწათმოწყობა ისე უნდა ჩატარდეს, რომ მან ხელი შეუწყოს კოლმეურნეობის გაძლიერებას. აგრონომების და მიწის მზომელების მოსახლეობასთან დაახლოებისათვის ორატორს მიზანშეწონილად მიაჩნია რაიონულ ბაზების მოწყობა. სასოფლო-სამეურნეო პირველ ფორმათ უნდა ჩაითვალოს ამხანაგური (ჯგუფური) მიწათმფლობელობა.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **კოხტაშვილმა** (კახეთი) და **გაბოშვილმა** (თბილისის აღმასკომი). ამით დაიხურა მეოთხე სხდომა.

მეხუთე სხდომა

მეხუთე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. **ძამანაშვილის** მოხსენების გარშემო.

ამხ. ბერუტაშვილი (კახეთი), აღნიშნავს, რომ კულაკს საშუალება აქვს დაამუშაოს მიწების დიდი რაოდენობა, ღარიბი გლეხობა კი ამას მოკლებულია. ამიტომ მიწათმოწყობა რაც შეიძლება მალე უნდა ჩატარდეს. თუ მიწათმოწყობა სწორად არ იქნა გატარებული, ზედმეტია ლაპარაკი სოფლად კლასიურ ხაზის გატარებაზე.

ამხ. არუთინოვი (ცეკა), მე მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა მიწათმოწყობის ამოცანების შესახებ. საერთოდ, როდესაც მიწათმოწყობა ტარდება, მისი ამოცანა იმით განისაზღვრება, თუ ვინ ატარებს ამას და რისთვის. ჩვენ ვიცით, რომ მიწათმოწყობა ტარდებოდა მეფის დროს, ის უმთავრესად აწესრიგებდა საზღვრებს ნაკვეთებს შორის. მიწის რეფორმები საქართველოში ჩატარებულ იქნა 1921—25 წლებში. ამ მიწათმოწყობის უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი შეეწყო ცალკე კულტურებს განვითარებას.

მე-15 პარტყრილობის შემდეგ კა მიწათმოწყობის ამოცანა რამოდენიმეთ იცვლება. ეხლა მიწის ნაკვეთები ისე უნდა მოეწყოს, რომ მან ხელი შეუწყოს კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას.

თუ ჩვენ შევაფასებთ იმას, რა გაკეთდა მიწათმოწყობის დარგში 1925 წელში, შეიძლება ითქვას, რომ მისი შედეგები ძაინც და მაინც არასასიხარულოა.

შემდეგ ამხანაგი არუთინოვი აღნიშნავს თუ როგორი უნდა იყოს მიწათმოწყობის სისტემა მომავალში; ის ვრცლად ეხება მიწათმოწყობის სამ ფორმას „ობშჩინას“, ნაკვეთით და ამხანაგურ მიწათმოწყობას; არუთინოვი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს ამხანაგური (ჯგუფური) ფორმა.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **სიხარულიძემ, ტაგიევმა, პეტროსიანმა, გეგელიძემ** და **ზერაძემ**.

ამხ. ძამანაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლიუციები გაკეთებულ მოხსენებების გამო.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული მესამე საკითხი მოხსნილ იქნა.

ამხ. არუთინოვის მოკლე სიტყვის შემდეგ, სადაც მან ჯამი გაუკეთა პლენუმის მუშაობას, პლენუმი დაიხურა.

ქალთა შორის მუშაობა თბილისის მაზრაში

ყარაიაზის, თიონეთის, წალკის, ასურეთის და აღბულაღის თემებში ქალთა შორის მუშაობის გაცხოველების მიზნით ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა საჭიროდ სცნო, რომ ყველა ამ თემკომებმა თავიანთ გეგმაში შეიტანონ ქალთა შორის მუშაობის კონკრეტიული საკითხები და თვალყური ადევნონ მათ შესრულებას.

მიწა-ტყის კავშირს დაევალა აღიცხოს თემში მყოფი მოჯამაგირე ქალები და ქალთა ორგანიზატორთან ერთად აწარმოოს მათში კულტურული მუშაობა, რისთვისაც გახსნილ იქნას წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, აგრეთვე ხშირად მოეწყოს მოჯამაგირე ქალთა საერთო კრებები, რომელზედაც გარჩეულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: მიწა-ტყის პროფკავშირის მნიშვნელობა და მისი ამოცანები, შრომის დაცვის საქმის მდგომარეობა: მოხსენებები გლეხკომების, საბავშო ბაღის, სკოლის, საექიმო პუნქტის და სხვათა მუშაობის შესახებ.

ისეთ ადგილებში, სადაც ქალები ერიდებიან მამაკაცებთან ერთად ლიკკოლებში სიარულს, ქალებისათვის ცალკე უნდა იქნეს დაარსებული სკოლა (ყარაიაზი, წალკა, თიონეთი).

გარდა ამისა ქალები გამოყენებული უნდა იქნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფასიან სამუშაოზე, როგორიცაა: სამკითხველო, გლეხკომი, კოოპერაცია, აღმასკომი და სხვა.

თემკომებმა უნდა მიიღონ ზომები ღარიბ გლეხ-ქალთა გაერთიანებისათვის კოლ-მეურნეობებში და იქ, სადაც ეს აუცილებელია, დაარსონ მათთვის ცალკე კოლმეურნეობა (ყარაიაზი, თიონეთი).

კომკავშირში

თემკომების მდივანთა თათბირი

გუშინ, 14 ნოემბერს, მუშათა სასახლის დარბაზში გაიხსნა ა. ლ. კ. კ. თბ. მაზრის თემკომის მდივანთა თათბირი. თათბირმა მოისმინა ამხ. აკოფოვის მოხსენება—ახ. კომკავშირის მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წელს საარჩევნო კამპანია უფრო რთულ პირობებში ტარდება, ვიდრე წინეთ. საბჭოთა ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილო ელემენტები, კულაკები, შეეცდებიან გაიყვანონ საბჭოებში „თავისი“ კაცები, ან თვითონ გაძვრნენ საბჭოებში. აი სწორედ ასეთ დროს კომკავშირის ორგანიზაციებს მართებთ მეტი სიფხიზლე. კომკავშირმა უნდა განამტკიცოს კავშირი ღარიბსა, მოჯამაგირეებსა და საშუალო გლეხობასა შორის. კომკავშირის ორგანიზაციები პარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა მუშაობდნენ, წარსულ არჩევნების დროს ეს ზოგ ადგილებში არ ჩანდა.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

ამხ. ამირზადული (აღბულახი)—ადგილობრივ თემსაბჭოს მუშაობას მრავალი ნაკლი აქვს, რითაც გლეხობა უკმაყოფილოა. დღეს თემის დაწესებულებებში მოკალათებული არიან ანტი-საბჭოთა ელემენტები. დადგენილება ასეთი ხალხის მოშორების შესახებ, ქაღალდზე დარჩა.

მ. გრატიაშვილი (საგარეჯო)—წარსულ არჩევნების დროს საბჭოში შეძლებული გლეხებიც აირჩიეს. ასეთი ხალხის კანდიდატურას ხშირად პარტიულები ასახელებდნენ იმ მოსაზრებით, რომ ისინი აქტიურები იყვნენ. კომკავშირელებს უხდებოდათ ასეთ შემთხვევებში წინააღმდეგობის გაწევა. საარჩევნო კამპანიებში ზოგიერთი კომუნისტი ცუდ გავლენას ახდენს გლეხებზე.

ამხ. სუჯიაშვილი—არ სწარმოებს კონტაქტური მუშაობა პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებს შორის საბჭოების არჩევნების დროს, რაც იწვევს გაუგებრობას და გლეხობაში სცემს ორგანიზაციის ავტორიტეტს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე **ამხ. აბაძემ, ამხ. გუდკოვმა, ზირზერაშვილმა, ლაპარტყავამ** და **აბესაძემ**.

საღამოს სხდომაზე დასრულდა კამათი, რის შემდეგაც მოსმენილ იქნა ამხ. აკოფოვის საბოლოო სიტყვა.

დღეს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

ქალაქის რაიონის პლენუმის გაგრძელება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტგანმანათლებელი მუშაობა

სოფლად კულტურული მუშაობა თანდათანობით ფართოვდება.—მრავლდება სამკითხველოების და წითელი კუთხეების რიცხვი.—სამაზრო პოლიტგანებმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ თემებში კულტურულ მუშაობას. — საჭიროა სამკითხველოების გამგეთა სათანადოდ შერჩევა

მეტი ყურადღება სამკითხველოების მუშაობას სოფლად

მშრომელ მასებს შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სკოლების, კლუბების და სამკითხველოების რიცხვი; ყოველწლიურად იხსნება წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები, რომლებშიაც ცოდნას იძენს მოზრდილი თაობა. იმ სოფლებში სადაც სამკითხველოები ჯერ-ჯერობით არაა გახსნილი, მოწყობილია წითელი კუთხეები, სოფლად მუშაობენ მოძრავი კინოები, მრავალ თემებში დადგმულია რადიო-მიმღები აპარატები, რომლის საშუალებით გლეხობა ისმენს სხვადასხვა მოხსენებებს და კონცერტებს. ყველაფერი ეს სწრაფად ზრდის მშრომელი გლეხობის კულტურულ დონეს.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო კულტურულ ფრონტზე. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას განაპირა რაიონების შესახებ, სადაც მშრომელი მასების კულტურული დონე კიდევ დაბალია.

სოფლად კულტმუშაობის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენს სამკითხველო, მის გარშემო უნდა იყრიდეს თავს სოფლის კულტურული ძალები. სამკითხველოს გამგის ხელმძღვანელობით უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა წრეები, რომელთა ირგვლივ საჭიროა გაერთიანდეს მშრომელი გლეხობის ფართე მასები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამკითხველოების მომარაგებას ჟურნალ-გაზეთებით და შესაფერისი ლიტერატურით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენი სამკითხველოები უმეტეს შემთხვევაში ვერ სდგანან თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, ცენტრიდან დაშორებულ სამკითხველოებში გაზეთების თავის დროზე მიწოდების საქმე მოიკოჭლებს, ხშირად სამკითხველოები სამი-ოთხი დღის გაზეთებს ერთად ღებულობენ, რითაც მკითხველს ეკარგება ხალისი მისი სათითაოდ გადათვალიერების; ბევრ ადგილას სამკითხველოები არც შესაფერისი ლიტერატურით არიან მომარაგებულნი; სოფლის სამკითხველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ხასიათის ლიტერატურით მომარაგებას გლეხობისათვის გასაგებ ენაზე. ასეთი ლიტერატურა კი ჩვენს სამკითხველოებს საკმაოდ არ მოეპოვებათ. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მშრომელი გლეხობისათვის გაზეთების ხმა-მაღლა კითხვის მოწყობას და შესაფერის ახსნა-განმარტების მიცემას.

სამკითხველოების მუშაობის გაჯანსაღება ბევრად არის აგრეთვე დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია მისი გამგე და რამდენად შესწევს მას უნარი უხელმძღვანელოს სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას.

ყველა ეს საკითხები მოითხოვენ პოლიტგანმანათლებელ ორგანოების მიერ განსაკუთრებულ ყურადღებას. დღითი-დღე იზრდება გლეხობის კულტურული მოთხოვნილებანი და საჭიროა სამკითხველოების მუშაობის ისეთ დონეზე დაყენება, რომ მათ შესძლონ ამ მოთხოვნილებების სათანადოთ დაკმაყოფილება.

ი—ლი.

კულტურული მუშაობა გორის მაზრაში

(წერილი გორიდან)

გორის მაზრაში არსებობს 29 სამკითხველო. ყველა სამკითხველოებთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები და კუთხეები. საერთოდ წითელ კუთხეების და წრეების რაოდენობა უდრის: წითელი კუთხეები—75, სამხედრო კუთხეები—50, „წერა-კითხვა“-ს უჯრედი—46, სასოფლო-სამეურნეო წრეები—82, სანიტარული—11, ფიზკულტურის—2, ქალთა—4, კოოპერატიული—11, დრამატიული—11, მოჯამაგირეთა კუთხეები—5.

სამკითხველოებთან არსებულ წრეებში გლეხობა განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებს შემოდგომიდან, ვინაიდან ზაფხულობით ისინი ჩაბმულია სასოფლო მეურნეობაში.

გლეხობას საწრეო მუშაობაში ჩაბმის საქმეში დიდ დახმარებას უწევს რადიო-მიმღები სადგურები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სადაც ასეთი სადგურები არსებობს, იქ უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს. მაგრამ ამ მიღწევას წინ ელობება დაბრკოლებებიც. ხშირად სამკითხველოს გამგეები, რომლებიც ამუშავებენ რადიო-აპარატებს, უცოდინარობის გამო აფუჭებენ ჯგუფარებს, აკუმულიატორებს და სწვავენ მიკრო-მილებს.

მაზრაში უკვე არსებობს 13 რადიო-მიმღები სადგური და განზრახულია კიდევ თვით დაბეგვრის და ადგილობრივ ორგანიზაციების ინიციატივით შექმნილ იქნეს 10 მიმღებ სადგური.

საკლუბო მუშაობა მაზრაში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, რადგან ამ მუშაობას ხელს უშლის პიესების, დეკორაციების და გარდირობების უქონლობა. ამასთანავე კლუბ თეატრებს არა ყავს თავიანთი მუდმივი ფასიანი ხელმძღვანელები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წითელ-ქალაქის და სურამის კლუბებს.

საჭიროა მომავალი სამოსწავლო წლიდან კლუბ-თეატრები მომარაგებული იქნენ სათანადო ხელსაწყოებით მუშაობის სასურველ დონეზე დასაყენებლად.

საერთოდ სამკითხველოების მუშაობას აქვს საკმაო ნაკლოვანებანი, რომლის გამოსწორება აუცილებელია მომავალი მუშაობის პროცესში, მაგალითად, პოლიტ-განათლების მთავარმმართველობამ დროზე უნდა შეიმუშაოს სათანადო პროგრამები და სახელმძღვანელოები. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს საცნობ მაგიდების მუშაობას. სამკითხველოების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით საჭიროა განტვირთულ იქნენ სამკითხველოს გამგეები სხვადასხვა დავალებებისაგან.

ი. კალაძე.

სამკითხველოს გამგეების შრომის პირობები უნდა მოწესრიგდეს

სამკითხველოების წინაშე სოფლად თანდათანობით უფრო რთული და მძიმე ამოცანები დასახული გადასაჭრელად, ვიდრე ეს იყო დღემდე. ამის გამო სამკითხველოს გამგის მოვალეობაც მეტის-მეტად გაიზარდა, მისი მუშაობა უფრო საპასუხისმგებლო შეიქნა. სამკითხველოს გამგე სოფლად უნდა უძღვებოდეს ყოველგვარ საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობას, როგორიცაა: კოოპერატიული, აგრონომიული და სანიტარული განათლება. უნდა უხელმძღვანელოს სათეატრო და საწრეო მუშაობას, კედლის გაზეთს, სალიკვიდაციო სკოლებს, რადიოს, მოჯამაგირეთა და ქალთა შორის მუშაობას, საბიბლიოთეკო საქმიანობას და მრავალი სხვა. ქოხ-სამკითხველოს გამგე უნდა ამოქმედოს სოფლის მთელი კულტურული ძალები.

პოლიტგანის ორგანოები დღითი-დღე ტვირთავენ სამკითხველოს გამგეს მუშაობის ახალ-ახალი სახეებით. სამკითხველოს გამგისათვის მუშაობა მეტის-მეტად მძიმე და ძნელი დასაძლევი ხდება. მას აღარ ყოფნის მუშაობისათვის განსაზღვრული საათები. თავი რომ დავანებოთ სამკითხველოს გამგის ხელფასის სიმცირეს, ისმება საკითხი: გვაქვს თუ არა უფლება პროფკავშირის წევრნი ვამუშაოთ უქმე და სამუშაო დღეებში საათების განუსაზღვრელად? სამკითხველო, სადაც რადიო-მიმღებია მოწყობილი, ღია უნდა იყოს დილის საათებში და საღამოთი. დილით, როდესაც წიგნების გაცემა და გაზეთით მუშაობა სწარმოებს, სამკითხველო ღია უნდა იყოს 4—5 საათი, საღამოთი—კი რადიო-მოსმენისთვის 5—6 საათი, ე. ი. მარტო ამ მუშაობას სამკითხველოს გამგემ უნდა მოანდომოს ყოველდღიურად 10—11 საათი. ამ სამუშაოს გარდა ისინი ეწევიან სხვა მუშაობასაც. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მოწესრიგებულ იქნას სამკითხველოს გამგეების შრომის პირობები და ამასთან ერთად მათი შრომის ხელფასის საკითხიც.

ალ. ბ—ლი.

საჭიროა აქტიური ხელმძღვანელობა

(წერილი სართიჭალიდან)

კარგა ხანია რაც სართიჭალაში არსებობს სათემო პოლიტგანი, ხოლო სოფლებში სამკითხველოები და წითელი კუთხეები. მაგრამ ისმის საკითხი, თუ რამდენად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას ეს ორგანოები და როგორია მათზე თბილისის სამაზრო პოლიტგანის ხელმძღვანელობა. ჩვენს თემში, სადაც 3—4 წითელი კუთხეა, ისინი არ არიან მომარაგებული ჟურნალ-გაზეთებით, არ ყავთ ფასიანი ხელმძღვანელები და ამის გამო მეტ ნაწილად მათი კარები გამოკეტილია.

სართიჭალის თემ-პოლიტგანის გამგეს ევალება თემში არსებულ წითელ კუთხეებს და სამკითხველოებს გაუწიოს სათანადო ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს რა პირობებში უნდა მოხდეს, როდესაც ხსენებული პოლიტგანის გამგე იმავე დროს ითვლება ადგილობრივი კლუბის და სამკითხველოს გამგეთაც.

რაც შეეხება სართიჭალის თეატრს, მისი მუშაობის წინსვლასაც არაფერი ეშველა, რაც იმით აიხსნება, რომ ის თავის შემოსავალის კმაყოფაზეა დამყარებული. უსახსრობის გამო დღემდე თეატრს არ გააჩნია საკუთარი სასცენო ტანისამოსი და სხვა მოწყობილებანი, ურომლისოდაც სცენის მოყვარეებს გული უცრუვდებათ მუშაობაზე.

ასეთივე მდგომარეობაშია რადიოს საქმიანობაც, დიდი ხანია მისი ხმა არავის გაუგონია.

საჭიროა თემის დიდ სოფლებში (მალხაზოვკა, უჯარმა) არსებული წითელი კუთხეები გადაკეთებულ იქნენ სამკითხველოებად და დაკმაყოფილებულნი როგორც ლიტერატურით, ისე ფასიანი ხელმძღვანელებით.

თემ-პოლიტგანის გამგე მხოლოდ თავის თანამდებობას უნდა ასრულებდეს და მის ვალდებულებაში არ უნდა შედიოდეს სამკითხველოს და კლუბის გამგებლობა. კლუბს და სამკითხველოს საკუთარი გამგეები ესაჭიროება.

ცხადია ეს გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს, მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელოვანის სარგებლობას მივიღებთ კულტურული რევოლუციის ფრონტზე.

შ. გარე-კახელი.

წერილებიდან

სოფ. ქოლოგანში (სენაკის მაზრა). გლეხობამ ამხ. არჩილ შენგელაიას ინიციატივით დარღვეული ეკლესიის მასალით ააგო სამკითხველოს შენობა. ამავე ამხანაგის ხელმძღვანელობით დადგმულ იქნა ხმის მიმღები და გადამცემი რადიო-აპარატი.

ზეხკი.

სოფ. დიდინეძი (ზუგდ. მაზ.). ამას წინად სამპოლიტგანმა მოავლინა ამხ. გოგოშელიძე რადიო-მიმღების და კინო-აპარატებით, გოგოშელიძემ გლეხობას განუმარტა რადიოსა და კინოს მნიშვნელობა. შემდეგ უჩვენეს კინო-სურათი „სურამის ციხე“. გლეხობამ დაადგინა, ახლო ხანში მოაწყოს რადიო-მიმღები სადგური.

მახვილი.

სოფ. შორვილაში (შორ. მაზრა). ამ დღეებში დაიდგა კინო-სურათი „სურამის ციხე“, რითაც გლეხობა კმაყოფილი დარჩა. საჭიროა კინო-სურათების ხშირად ჩვენება.

საირხელი.

აბასთუმნის თემის (ზუგდ. მაზრა) მოსახლეობის რიცხვი 1500-დე აღწევს სოფ. ნარაზენში არსებული სამკითხველოთი თემის მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს, რადგან ის განაპირა ადგილასაა. საჭიროა სამკითხველოს ცენტრში გადმოტანა, ან და მეორე სამკითხველოს გახსნა. რასაც სამპოლიტგანმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

ცხიმი.

სოფ. ხაშმის (თბ. მაზრა) სამკითხველოს გამგე ვ. რადიმაშვილი თავის თანამდებობისათვის შეუფერებელია. მას არ აქვს საჭირო მომზადება. სამკითხველო ხშირად დაკეტილია, რადიმაშვილი ზოგჯერ მკლავზე იყურება და ცემით ემუქრება გლეხობას. თბილისის პოლიტგანმა უნდა მოაშოროს ასეთი გამგე.

ალბომი.

კოლექტივები და სამრეწველო ამხანაგობები ჩვენში

უმუშევართა შრომის კოლექტივების ქსელი ფართოვდება.—შრომის კოლექტივებში გაერთიანებულია რამოდენიმე ასეული უმუშევარი. წვრილი ხელოსნები უერთდებიან სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობებს.—ზოგიერთი არტელების წევრები სარგებლობენ დაქირავებული შრომით. — შრომის კოლექტივების წევრთა შორის არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს.

არტელის მუშაობა ფართოვდება

დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა ფეხსაცმელების მკერავთა არტელი „შრომა“. მას მხოლოდ ხუთი თვის ისტორია აქვს, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში იმდენად გაუმჯობესდა არტელისა და მის წევრთა მდგომარეობა, რომ ნადს დღე-დღეზე ემატება წევრები და ფართოვდება წარმოება.

არტელის წევრთა უმრავლესობა ყოფილი უმუშევარი ხელოსნებისაგან შესდგება. ბევრი მათგანი ამ არტელის დაარსებამდე ულუკმაპუროთ დადიოდა ქუჩაში. ნაწილს კი ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სახელოსნოები, მაგრამ ისინიც ისეთივე გაჭირვებას განიცდიდნენ, როგორც უმუშევრები, რადგან არტელის დაარსების შემდეგ მათ საგრძნობლად შემოაკლდათ სამუშაო. ამიტომ იძულებულნი გახდნენ დაეხურათ კერძო სახელოსნოები და გაერთიანებულიყვნენ კოლექტივში.

ამჟამად კოლექტივი აერთიანებს 70-დე მუშა ხელოსანს, რომლების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, მაგრამ არტელი ამით არ კმაყოფილდება. ის ცდილობს გააფართოოს წარმოება და გაამრავლოს არტელის წევრთა რიცხვი. ამ მიზნით არტელის გამგეობა, მუშათა რაიონებში ხსნის განყოფილებებს და ასეთი საშუალებით აერთიანებს კერძო ხელოსნებს კოლექტივში.

არტელის მიერ დამზადებული მასალა საუკეთესო ხარისხისაა და საღდება უმთავრესად კოოპერატიულ მაღაზიებში. სახელოსნოში მზადდება მხოლოდ ქალებისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ახლო მომავალში დაიწყება ე. წ. „ჩუსტების“ დამზადებაც. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სახელოსნოში დამზადებულ მასალას საკმაოდ დიდი გასავალი აქვს ბაზარში. ეს აიხსნება ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებით და პროდუქტის თვითღირებულების დაწევით, მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად არტელს აქვს ზოგიერთი ნაკლიც, რომელიც ხელს უშლის მუშაობას და აფერხებს წარმოების გაფართოებას. ეს არის სახელოსნოში სანიტარულ პირობების დაცვის საქმე და მუშებში კულტურული მუშაობის სისუსტე.

სახელოსნოში არ არის მოწყობილი არც სასადილო ოთახი და არც დასასვენებელი ადგილი, რომ მუშას შეეძლოს დასვენების დროს გადაათვალიეროს გაზეთი. ამის გამო მუშები იძულებული არიან ისაუზმონ თავიანთ დაზგებზე, რაც მოგვაგონებს კერძო სახელოსნოებს. სახელოსნოსთან გამოდის კედლის გაზეთი, მაგრამ ჯერ ერთი, რომ იგი ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული და მეორეც მუშებში კულტურული მუშაობა მარტო კედლის გაზეთის გამოცემით არ ამოიწურება, საჭიროა ამ მუშაობის გაცხოველება და მუშების ჩაბმა კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში.

არტელის გამგეობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს ზომები მუშებში კულტურული მუშაობის გასაცხოველებლად.

კოლექტივის წევრი.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა შრომის კოლექტივი

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირმა, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, გააფართოვა შრომის კოლექტივები და ჩააბა შიგ მრავალი უმუშევრები. ამჟამად თბილისში არსებობს კოლექტიური საკანდიტროები, ბულკისა და ბუბლიკის სახელოსნოები და სხვა, რომლის საქმიანობა თანდათან უმჯობესდება და თვით წარმოებაც ფართოვდება. აღნიშნულ შრომის კოლექტივებში გაერთიანებულია 150 უმუშევარი. ამათში არიან, როგორც კვალიფიციური მუშები, ისე გონებრივი და შავი მომუშავეებიც.

შრომის კოლექტივს აქვს 6 სახელოსნო და ნამცხვრების 5 გამსაღებელი პუნქტი. დღემდე ეს სახელოსნოები ცალკ-ცალკე არსებობდნენ. ყველა მათგანს ცალკე ადმინისტრაცია და გამგეობა ჰყავდა. ეს გარემოება დიდ ხარჯებს იწვევდა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელოსნოებს უკარგავდა კოლექტივის სახელს.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა; არსებობს მხოლოდ ერთი შრომის კოლექტივი, რომელიც აერთიანებს ყველა სახელოსნოებსა და საკანდიტროებს. ამით, გარდა იმისა, რომ შემცირდა ხარჯები, კოლექტივის წევრთა მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. გარდა ამისა სახელოსნოების ცალკ-ცალკე არსებობა ერთგვარ გაუგებრობას იწვევდა შრომის კოლექტივების საქმიანობაში და აფერხებდა წარმოების საქმის მოწესრიგებას; კოლექტივებში ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა ფასებში იყიდებოდა. დღეს ეს ნაკლიც გამოსწორებულია; ყველა გამსაღებელ პუნქტში ერთნაირ ფასებში იყიდება ნამცხვარი და სხვა საქონელი.

რაც შეეხება კოლექტივის წევრთა შორის კულტურულ მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი არ არის თავის სიმაღლეზე; თანამშრომლებში ჯერჯერობით არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს, მართალია, არიან კლუბის წევრები, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ამ მუშაობის უფრო გაცხოველება.

ს. აშუთიძე.

ხელოსანთა ამხანაგობის მდგომარეობა

(წერილი ზესტაფონიდან)

ზესტაფონის შინა-მრეწველ ხელოსანთა საკრედიტო ამხ.-ბა არსებობს 1927 წლის მაისიდან. ამხანაგობა აწარმოებს ტყავეულობის, რკინეულობის და სხვა საჭირო დასამზადებელი საქონლის მიწოდებას მწარმოებლებზე.

ამხანაგობას თავიდანვე არა აქვს სამუშაო გეგმა. მისი მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ განუსაზღვრელად; არ არის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, გაუთვალისწინებელია თანამშრომელთა ხელფასის გაცემის დრო და სხვ. ეს იწვევს დამატებით ფულის გაცემას ჯილდოს სახით, რაც დიდ ზარალს აყენებს ამხანაგობას.

მთელი მაზრის ფარგლებში ამხანაგობაში გაერთიანებულია 160 წევრი ამათში არიან ისეთი წევრებიც, რომლებიც წესდების ძალით არ შეიძლება იყონ ამხ.-ბის წევრად. მაგალითად: დაქირავებული ყავთ მუშა-ხელი ნორმაზე მეტი, თვით აწარმოებენ საქონლის ბითუმათ გაყიდვას და სხვა. არიან აგრეთვე ყოფილი ვაჭრებიც, რომლებიც სასწრაფოთ უნდა გაირიცხონ ამხანაგობიდან.

საქონლის მიწოდება წევრზე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უფრო შეძლებულ წევრებს წინდაწინ შეაქვთ ფული და საქონელი მიაქვთ დიდი რაოდენობით. ეს იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას დანარჩენ წევრთა შორის.

ამხ.-ბა საშუალებას აძლევს მწარმოებლებს საქონელი შეიძინონ მცირე ფასებში, ხოლო დამზადებულ საქონელს ყიდიან ისეთივე ფასებში, როგორც სხვა, კერძო ხელოსნები. ამ შემთხვევაში მომხმარებელს არავითარი შეღავათი არ ეძლევა. ამხანაგობის ასეთი მოქმედება დაუშვებელია. ასეთ პირობებში ამხანაგობა ვერ გაუწევს ბრძოლას კერძო ბაზარს.

მეორე გარემოება, რაც იწვევს საქონლის გაძვირებას, ის არის, რომ გამგეობა მაღაზიას აძლევს საქონელს გასასყიდი ფასით, მაგრამ მაღაზია კი ხშირად ამ საქონელს ყიდის წვრილად და მეტ ფასებში, რითაც მაღაზიის აღწერის დროს აღმოჩნდა 651 მანეთის ზედმეტი საქონელი, მომავალში ასეთი წესი აუცილებლივ უნდა მოისპოს.

კულტმუშაობა ხელოსანთა შორის სრულებით არ სწარმოებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ გამოწერილი აქვთ გაზეთი „ჩვენი კოოპერაცია“ 50 ცალამდე. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

ო. გ—ნი.

შრომის კოლექტივის ნიღაბის ქვეშ

განოვის ქუჩაზე არსებობს ქალის ქუდების მაღაზია, რომელსაც რამდენიმე პატრონი ჰყავს. წინად ამ სახელოსნოს მეორე ხარისხის პატენტი ჰქონდა და დაქირავებული მუშახელიც მუშაობდა შიგ. მაგრამ სახელოსნოს მეპატრონეებმა, უკანასკნელად თავიანთ სახელოსნოს დაარქვეს „კოლექტივი“, დაითხოვეს დაქირავებული მუშები და დაიწყეს თვითონ მუშაობა, ვითომდა შრომის დაუქირავებლად. ამით რასაკვირველია პატენტის გადასახადი დაუკლეს, როგორც მშრომელებს. სინამდვილეში არავითარი კოლექტივი აქ არ არსებობს; სახელოსნო ეკუთვნის რამდენიმე პირს, რომლებიც არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ და კვლავ სარგებლობენ დაქირავებული შრომით. გარდა ამისა სახელოსნოს პატრონები საქმეს გარეთაც აძლევენ და ამუშავებენ რამდენიმე მუშას, რომლებზეც არც დასაზღვევ ფულს იხდიან და არც თავს იწუხებენ შრომის კანონების დასაცავად.

ასეთივე მდგომარეობაა ვინმე სონია ნერსესოვას სახელოსნოშიც. უკანასკნელმაც შრომის კოლექტივად გადააკეთა თავისი სახელოსნო; ყოფილ მომუშავეს, იოსებ თოლომოშვილს მიუწყო პატარა კუთხე სხვის დარაბაში, აიღო შეღავათიანი პატენტი და ამუშავებს თავისთვის. ისე, რომ მუშა თოლომოშვილი ფაქტიურად კვლავ დაქირავებულად მუშაობს ნერსესოვასთან, რომელიც აძლევს განსაზღვრულ ხელფასს.

ამავე ქუჩაზე № 4 არის მაღაზია ე. წ. „მინა“, რომლის პატრონსაც არაფერი არ ესმის ქუდების კერვისა, მაგრამ მაინც აფარებული აქვს წინსაფარი და დგას მაღაზიაში, როგორც ხელოსანი და კოლექტივის წევრი. ნამდვილად კი ეს ვაჟბატონი სამუშაოს აძლევს გარეთ, რომ არ გადიხადოს დასაზღვევი გადასახადი და ამავე დროს რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაცია გაუწიოს მუშებს.

ასეთი მოხერხებით იფარებენ კოლექტივის ნიღაბს ძველი „ექსპლოატატორები“ და ასაღებენ თავიანთ თავს კოლექტივებათ. ამით ისინი ამცირებენ თავიანთ ხარჯებს, ხოლო სახელმწიფო სალაროს დიდ ზარალს აყენებენ.

რადიო.

კავშირის რიგებს არცხვენს

(სად. ხაშური)

რკინის გზელთა კავშირის წევრი მოქ. ვ. თომაძე არა ერთხელ ყოფილა შენიშნული ექსპლოატატორობაში, მაგრამ მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. ეს ვაჟბატონი იღებს კერძო სამუშევრებს, ამუშავებს მუშებს. არ იხდის რაიმე გადასახადს და მუშებსაც საშინელ ექსპლოატაციას უწევს. ამავე დროს კი იგი ითვლება საბჭოთა მოსამსახურეთ და პროფკავშირის წევრად.

გარდა ამისა მოქ. თომაძე ხშირად კავშირის წევრებსაც ატყუებს და ითრევს თავის საქმიანობაში; იგი სესხულობს ფულს მუშებიდან რაიმე სამუშაოს ასაღებად და შემდეგ კი ახლო არ ეკარება. თომაძეს არა ერთი რკინისგზელი მოუტყუებია და გამოურთმევია მისთვის ფულ, რომელიც შემდეგ არ დაუბრუნებია უკან.

ასეთი მუშა ღირსი არ არის კავშირის წევრობისა.

კავშირის წევრი.

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშკორთა საქალაქო კრება თბილისის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებთან და მუშათა აქტივთან ერთად. დღის წესრიგში სდგას: 1. ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების კამპანიისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ. 2. მოხსენება საბჭოთა არჩევნების შესახებ.

1907 წელში დაბადებულთა სამხედრო წვევამდე მზადება

მიმდინარე წლის 1-ლ დეკემბრიდან საქართველოში იწყება 1907 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება.

წვევამდე მზადების ჩატარების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის სამმართველოში აცნობეს შემდეგ:

სამხედრო წვევამდე მზადებაზე გაწვეული იქნებიან ყველა ახალგაზრდები, დაბადებულნი 1907 წელში. მზადება დაიწყება 1-ლ დეკემბრიდან, ხოლო 20 ნოემბრიდან იწარმოებს ახალგაზრდობის საექიმო შემოწმება და მათი მიწერა სამოსწავლო წერტებზე.

მზადება გაგრძელდება თვენახევარს. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდები გაივლიან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საგნებს. წვევამდელნი თვენახევრის განმავლობაში შეიძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც გაუადვილებს მათ უფრო რთულ სამხედრო საგნების შეთვისებას წითელი ჯარის რიგებში გაწვევის დროს.

დივიზიის პოლიტგანყოფილების მიერ შედგენილი და დაგზავნილია ადგილებზე სამეცადინო პროგრამა. ამჟამად სწარმოებს ჯგუფთა ხელმძღვანელების შერჩევა. ეს უკანასკნელნი გამოყოფილი იქნებიან წითელი ჯარის კადრიდან, თვით წვევამდელებიდან და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.

წვევამდე მზადების დროს იწარმოებს წერა-კითხვის არა მცოდნე წვევამდელთა აღრიცხვა. წვევამდე მზადების დამთავრების შემდეგ უცოდინართა სიები გადაიგზავნება სათანადო მაზრებში. უცოდინართა ჩასარიცხავად სალიკვიდაციო სკოლებში.

სამხედრო კომისარიატები ამჟამად აწყობენ სამოსწავლო პუნქტებს ადგილებზე, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც დაუგზავნა მათ ტერიტორიალურმა სამმართველომ.

მოსწავლე ახალგაზრდობა მიმდინარე მზადებაზე არ იქნება გაწვეული. მოსწავლენი წვევამდე მზადებას გაივლიან თავ-თავიანთ სასწავლებლებში. ამ მიზნით უკვე შემუშავებულია სამეცადინო პროგრამა და გამოყოფილია მეთაურთა საჭირო რიცხვი.

ხალიჩების ქსოვის განვითარება ამიერ-კავკასიაში

ა.-კავკასიის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა და ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხალიჩებს სარეწაო კოოპერატიულ გაერთიანებათა შექმნას რესპუბლიკებში; ამ გაერთიანებებს უნდა შეადგინონ ხალიჩების გამსაღებელ-მომმარაგებელი სპეციალური ამხანაგობანი და ხალიჩების მქსოველი არტელები საერთო სახელოსნოებით. ამ ორგანიზაციებმა უნდა მიაწოდონ კოოპერაციაში გაერთიანებულ შინამრეწველებს მატყლი, საღებავები და ჩარხები. სარეწაო კოოპერაციას უნდა დაეკისროს კულტურულ-განმანათლებელი საქმიანობის გაძლიერება ხალიჩების მქსოველთა შორის, კოოპერაციაში ჩაბმა პაის შეტანის ვადის გადიდების გზით, ხალიჩების ქსოვის კონტრაქტაციის ჩატარება, მიზნობრივი კრედიტების მიწოდება 9—12 თვის ვადით. ამასთანავე გათვალისწინებულია თანხების დამატებითი გამოყოფა ბიუჯეტიდან გრძელვადიან კრედიტის საფუძვლებზე იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სარეწაო კოოპერაციის ძირითადი და საბრუნავი თანხები, აგრეთვე განზრახულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული იქნეს დამატებითი დაუბრუნებელი ასიგნობანი ხალიჩების ქსოვის საექსპორტო ბაზის გასაძლიერებლად (სახელოსნოების აგება, სამღებროების და მხატვრული ლაბორატორიების მოწყობა და სხვ.).

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

იმ მიზნით, რომ დროულად მოხდეს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია და უზრუნველყოფილ იქნას ა.-კავკასიის რკინის გზების შეთანხმებული მუშაობა ზაჰესთან და რიონჰესთან, ა.-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიამ ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა დადგენილების შემდეგი პროექტი: შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე აღიძრას საკითხი იმის შესახებ, რომ რიონჰესის ამუშავების სავალდებულო ვადად დაინიშნოს 1931 წლის 1 ოქტომბერი. ამიერ-კავკასიის რკინის გზებისათვის ელექტრო-ენერგიის ტარიფი პროექტით ნავარაუდევია დაახლოებით ორი კაპ. კილოუატ საათში.

სასოფლო მეურნეობის მექანიზაციისათვის

სოფლის მეურნეთათვის ტექნიკურ დახმარების აღმოჩენის გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დაჩქარების მიზნით, ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს დაავალონ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებს დაჩქარებით შეუდგნენ მანქანების შემკეთებელ სახელოსნოებისა და უკანასკნელთა ქსელის გაფართოებას. ახალი სახელოსნოების მოსაწყობად ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით აზერბეიჯანს მიმდინარე წელში მიეცემა 72.000 მან. და სომხეთის—66.000 მან.; არსებული სახელოსნოების გასაფართოებლად საქართველოს მიეცემა—52.000 მან., აზერბეიჯანს—73.000 მან. და სომხეთს 15.000 მან.; საბრუნავი თანხები: აზერბეიჯანს—61.500 მან., საქართველოს—29.500 მან. და სომხეთს—32.000 მან.

აღნიშნული თანხები რესპუბლიკებს გადაეცემა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, რომ წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდეს დასახული გეგმის შესრულება.

ამასთანავე მომავალი თესვის კამპანიის დროს სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებლად გამოყენებული უნდა იქნეს ყველა სახელოსნოები. (რკინისგზის, ავტოტრანსპორტის და სხვ.)

კვალიფიციურ-ტექნიკური პერსონალის მომზადების მიზნით უნდა გაიხსნას ტრაქტორისტების მოსამზადებელი ექვსთვიანი კურსები და მომზადებული უნდა იქნეს: საქართველოსათვის—75, აზერბეიჯანისათვის—25 და სომხეთისათვის—60 ტრაქტორისტი. ამ მიზნით გადადებულია 48.000 მანეთი. მანქანა-ინსტრუქტორების რაოდენობა აყვანილი უნდა იქნეს—26 კაცამდე. (საქართველოში—10, სომხეთში—4 და აზერბეიჯანში—12 კაცი).

მანქანების შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად რაიონებში მოწყობილი უნდა იქნეს მანქანების ნაწილების საწყობები (საწყობები შეძლებისდაგვარად უნდა მოეწყოს შემკეთებელ სახელოსნოებთან).

ყველა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად გადადებულია 608.500 მან.

ვინაიდან ადგილებზე შემკეთებელ სახელოსნოებისათვის გამოსადეგი შენობები არ მოიპოვება, სას.-სამ. საკრედიტო სისტემას წინადადება მიეცა გაადიდოს კრედიტები, რომლებიც დანიშნული არიან სას.-სამ. ნაგებობათათვის.

საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს კვირეული

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზ-ბის „წერა-კითხვა“-ს შუამდგომლობის თანახმად, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს მატერიალურ საშუალებათა გასაძლიერებლად და საზ-ბის მიზნების ფართო მასებისათვის გასაცნობად 24—30 ნოემბრამდე მთელს საქართველოში ჩატარებული იქნეს კვირეული.

კვირეულის ჩასატარებლად დაარსებული იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ამხ. კ. ხომერიკი (თავმჯდომარე), ს. მამულია, პ. ბოკერია, ა. მიქაძე, ჯაფარიძე, ბუჯიაშვილი, მ. ჯაფარიძე, ვ. იმედაძე, გეგენავა, ქურდულია, ჩიხლაძე, ლომაძე, ისრაელიანი, შ. ნუცუბიძე.**

ცაკის პრეზიდიუმმა აგრეთვე დაამტკიცა კვირეულის ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით კომკავშირის „კულტურულ ლაშქრობასთან“ დაკავშირებით „წერა-კითხვა“-ს კვირეული ჩატარებული იქნება მთელ რესპუბლიკაში 24—30 ნოემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლუბებში, სამკითხველოებში, სოფლად გლეხთა კლუბებში, სოფლის სამკითხველოებში და სხვ. წაკითხული იქნება მოხსენებები საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

კვირეულის განმავლობაში მოხდება საზოგადოების უჯრედების წევრთა საერთო კრებები, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენებები ჩატარებულ და მომავალ მუშაობის შესახებ. ამავე კრებებზე არჩეული იქნება უჯრედების ახალი ბიუროები. იქ, სადაც ასეთი უჯრედები დღემდე არ არსებობს, დაარსებული და ჩამოყალიბებული იქნება ახალი უჯრედები. ამავე დროს ჩატარებული იქნება სამაზრო და სარაიონო საბჭოების კონფერენციები, რომლებზედაც მოხდება გამგეობისა და სარევიზიო კომისიების არჩევა.

სამაზრო და სარაიონო საბჭოებს და უჯრედებს ევალებათ კვირეულის განმავლობაში მიიღონ ზომები თავიანთ წევრების რიცხვის გასადიდებლად და კვირეულის ჩატარებაში აქტიურად ჩააბან კომკავშირელები, სოფლის ახალგაზრდობა, სოფლის ინტელიგენცია, ქალები და სხვ. მათვე ევალებათ მჭიდრო კავშირი იქონიონ წითელი ჯარის ნაწილებთან და ამავე დროს მიიღონ ზომები თავიანთ წევრებს შორის საწევრო გადასახადის ნარჩენების სავსებით ასაკრეფად.

გეგმის მიხედვით კვირეულის განმავლობაში სკოლის უფროს ჯგუფებში დაარსებული იქნება საზ-ბის უჯრედები მოწაფეების მონაწილეობით.

კვირეულის სასარგებლოდ 24—30 ნოემბრამდე მთელს რესპუბლიკაში იწარმოებს ყულაბებით ფულის შეგროვება და შემოწირულების შეგროვება ხელისმოწერით. ამავე ხნის განმავლობაში კინოებსა, თეატრებში, კლუბებში და სხვ. გასართობ დაწესებულებებში შესასვლელ ფასიან ბილეთებზე დარიცხული იქნება თითო შაური კვირეულის სასარგებლოდ. ამავე მიზნით ყველა სათამაშო დაწესებულებები (კაზინო, ლოტო და სხვ.) ვალდებულნი არიან გადასდონ 10 პროცენტი.

აგრეთვე კვირეულის სასარგებლოდ 1-ლ ხარისხოვანი რესტორნები და სასადილოები გადასდებენ 10 პროცენტს, მეორე ხარისხოვანი რესტორნები და სასადილოები 5 პროცენტს.

კვირეულის განმავლობაში იმუშავებს ტრამვაის რამდენიმე ზედმეტი ვაგონი, რომლიდანაც შემოსული ფული გადაიდება კვირეულის სასარგებლოდ. გარდა ამისა საზ-ბის ფონდის გაძლიერებას მოხმარდება კვირეულის განმავლობაში ყველა ადგილობრივ ადმინისტრატიულ ორგანიზაციების დადგენილებით სავაჭრო დაწესებულებებსა და კერძო პირებისაგან ჯარიმის სახით შემოსული თანხის 50 პროცენტი.

ამავე ხნის განმავლობაში კვირეულის ფონდის გასაძლიერებლად გასაცემ პატენტებზე დარიცხული იქნება 10 პროცენტი.

ამავე მიზნით კვირეულის განმავლობაში გაიმართება ფასიანი წარმოდგენა-კონცერტები.

ბუნებრივი ასფალტის მადნები რაჭაში

სამთო ტრესტმა თავის სამუშაო პროგრამაში შეიტანა რაჭაში აღმოჩენილი ბუნებრივი ასფალტის მადნების დამუშავება. ბუნებრივი ასფალტის მადნები აღმოჩენილია სოფ. ბაჯის მახლობლად არსებულ თეთრ კლდეში, სადაც მადანი შერეულია კირ-ქვაში.

სოფ. ბაჯში მადნების დასათვალიერებლად გაგზავნილი იყო გეოლოგი ბახტაძე, რომლის გადმოცემითაც კლდეში 30 პროცენტამდე წმინდა ასფალტია. ასფალტის ასეთი ბუდობები ბუნებაში იშვიათი მოვლენაა და სწორედ ამიტომ სოფ. ბაჯის ბუდობები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ.

მომავალ ზაფხულზე დაიწყება რაჭის ასფალტის მადნების საფუძვლიანი გეოლოგიური გამოკვლევა. სამთო ტრესტს განზრახული აქვს დააჩქაროს გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, რომ მოკლე ხანში შესაძლებელი გახდეს მადნების საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყება. ასფალტის ბუდობები დაშორებულია ოსეთის სამხედრო გზატკეცილს კილომეტრ ნახევრის მანძილზე, ისე რომ მადნების გამოსაზიდათ ხელსაყრელი სატრანსპორტო პირობებია.

ასფალტს ღებულობენ აგრეთვე ბიტუმის ქვიშიდან. ბიტუმის ბუდობების გამოკვლევა სწარმოებდა ნატანების რაიონში, სადაც მუშაობა უკვე დამთავრდა. ბიტუმის ქვიშიდან ღებულობენ 12 პროც. წმინდა ასფალტს.

სტუმრად სომხეთის მუშებთან

7-ს და 8 ნოემბერს სხვა ამხანაგებთან ერთად გაგზავნილი ვიყავ ქ. ერევანში ოქტომბრის დღესასწაულზე დასასწრებად და თბილისის მუშების სახელით სალამის გადასაცემად. ერევნელი მუშები დიდის აღტაცებით შეგვხვდნენ.

დაახლოებით რვა საათზე გაიხსნა ერევნის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს საზეიმო სხდომა, სადაც ერევნის მუშები დიდი ოვაციებით მიესალმენ საქართველოს მუშათა დელეგაციას და ამიერ-კავკასიის ფედერაციას, რომელმაც აღადგინა ძმური კავშირი ა.-კავკასიის მშრომელთა შორის.

ცხრა წლის წინად სომხეთისა და საქართველოს საზღვრებზე იღვრებოდა ამ ორი ქვეყნის მუშებისა და გლეხების სისხლი. ამ სისხლის ღვრას აწარმოებდნენ დაშნაკელები, მენშევიკები და მუსავატელები. დღეს ოქტომბრის მე-11 წლის თავზე ეს საზღვრები დასერილია, არხებით, რომლის საშუალებითაც ირწყვება მინდორ-ველები. სომხეთის გლეხობა არ კმაყოფილდება მარტო პურეულის მოყვანით, მათ განზრახული აქვთ ახლო მომავალში შეუდგნენ შაქრის ჭარხლის მოყვანას.

საერთოდ სომხეთში წინ მიდის მრეწველობა; გაუმჯობესებულია ბამბის წარმოება სარდარაბადის რაიონში, ერევანში აშენებულია 17.000 ცხენის ძალიანი ელსადგური. ამჟამად შენდება კიდევ 6.000 ცხენის ძალიანი სადგური. 8 ოქტომბერს გაიხსნა ამიერ-კავკასიის ვეტერინარული უნივერსიტეტი და სხვა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე წითელ-არმიელთა აღფრთოვანებითი შეხვედრამ, ბევრ ადგილას საქართველოს დელეგატებს ხელში აყვანილს ატარებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთ და იმავე ყაზარმაში ერთ მხარეს სომეხი წითელ არმიელები არიან, ხოლო მეორე მხარეს მუსულმანები. იქვე არიან ეზიდები, რომლებიც მოხალისეთ ითვლებიან. ეზიდები სხვათა შორის იმიტომ ეტანებიან წითელ ჯარს, რომ იქ ისინი ღებულობენ სწავლა - განათლებას, სწავლობენ წერა-კითხვას და ებმებიან კულტურულ საქმიანობაში. ასეთია დღევანდელი ერევანი, ასეთია წითელი ყაზარმა.

მუშა ვ. ბარბაქაძე.

ა. კ. სახკომსაბჭოში

დასასვენებელ სახლების გაფართოება

დასასვენებელ სახლების გასაფართოებლად ა.-კ. სახკომსაბჭომ ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს გადასცა 4.500 მანეთი. დასასვენებელი სახლები გაფართოებული უნდა იქნას 100 საწოლით.

სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს წინადადება მიეცა ადგილები დასასვენებელ სახლებში გაანაწილოს ა.-კ. პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

ლითონის ნატეხების შეგროვება

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ა.-კავკასიაში შეგროვილი უნდა იქნეს ლითონის ნატეხები, რომელიც უნდა გადაეცეს ლითონის მრეწველობას. ლითონის ნატეხების ძირითად დამამზადებლათ აღიარებულია „რედმეტალტორგის“ ა.-კ. განყოფილება. ყველა დაწესებულებებს, რომელთაც მოეპოებათ ლითონის ნატეხები—უვარგისი დაზგები, მანქანები, ორთქლმავლები, ვაგონები, ლითონის უვარგისი მოწყობილობა და სხვ. ევალებათ აღნიშნული საგნები ჩააბარონ „რუდმეტალტორგის“ ა.-კ. განყოფილებას.

სავალდებულო სამსახურის ვადა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ის პირნი, რომლებიც ღებულობდნენ სტიპენდიას ან ენახებოდათ ჯამაგირი და სწავლობდნენ რკინის გზის ტეხნიკუმში ან საგზაო პროფ-განათლების კურსებზე, ვალდებული არიან სწავლის დამთავრების შემდეგ იმუშაონ რკინის გზაზე იმდენ ხანს, რამდენიც დაყვეს სასწავლებელში და ღებულობდნენ სტიპენდიას ან ჯამაგირს რკინის გზიდან. რკინის გზის ადმინისტრაცია ვალდებულია ასეთ პირებს მისცეს სათანადო თანამდებობა სწავლის დამთავრების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

ხოლო ის პირნი, რომელნიც არ წავლენ რკინის გზის სამსახურში, ვალდებული არიან აუნაზღაურონ რკინის გზას მათზე გაწეული ხარჯები.

26.599.500 მანეთის ჩამოწერა

ამიერ-კავკასიის სამრეწველო დაწესებულებებზე, რომლებიც ექვემდებარებიან რესპუბლიკანურ სახ. მეურნეობის უმ. საბჭოებს, ირიცხებოდა სესხი 33.233.000 მანეთი, რომელიც დაბრუნებული უნდა ყოფილიყო 1-ლ ოქტომბრისათვის. ამ დავალიანებიდან, ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ა.-კ. მრეწველობას სრულიად ჩამოეწერა 26.599.500 მანეთი, ხოლო ვადა გაგრძელებულ დარჩა—5.784.000 მანეთი.

ნედლეულის შემსწავლელი ინსტიტუტი თბილისში

ა.-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ თბილისში მოეწყოს სამხრეთის ნედლეულობის შემსწავლელი ინსტიტუტი. ინსტიტუტის ამოცანა იქნება: ყველა სახის ნედლეულობის გამოკვლევა, ნედლეულობის ახალი სახეების ტეხნოლოგიური გამოკვლევა და საცდელი დამუშავება. ლაბორატორიული გამოკვლევანი და ნახევრად საქარხნო დამუშავება (ნედლეულობის წარმოების რაიონებში, აღნიშნული ნედლეულობის გადამამუშავებელ საწარმოთა კონსულტაცია). ინსტიტუტის სტრუქტურაში განზრახულია სხვადასხვა მეცნიერულ-გამომკვლევ სადგურების და ლაბორატორიების შეტანა.

ბამბის სათესი სივრცის გადაღება აეროპლანებიდან

ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში სარწყავი ადგილების უფრო სწორად აღრიცხვის მიზნით ამიერ-კავკასიის სახელმწ. საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ 1928—29 წელს საცდელი ჰაეროფოტოგადაღება მოხდეს მუღანლის ერთ-ერთ რაიონში იმ ვარაუდით, რომ 1929—30 წ. ბამბის სათესი ადგილების აღრიცხვა მხოლოდ ჰაეროფოტო გადაღების საშუალებით ხდებოდეს. განზრახულია ამ საქმის შესრულება მიენდოს „დობროლიოტს“ ან „უკრვოზდუხპუტის“. ასეთი აღრიცხვა ხარჯს შეამცირებს 37 პროცენტით.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა

დღეს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში მოწვეულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომ-სიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კომისიის შემდეგი წევრებისათვის: **ი. ვარძიელი, პ. აღნიაშვილი, ვარო ჯაფარიძე, ტაგიევი, შ. მათიკაშვილი, ბ. მაჩაძე, ვ. ბოლქვაძე; ს. მამულია, ვასილიევი (წითელი ჯარიდან), შ. ოკუჯავა (ქართ. დივიზიიდან), ჯავახიძე, (კომკავშირიდან), ლ. ბერია, ა. კირიჯიანი; ვ. ცქიტიშვილი; ალექსანდროვა; ე. კერესელიძე; დიმოევი; დ. ქუჩულორია და ვ. ანთიძე.**

კომისია განიხილავს სხვადასხვა ორგანიზაცია დაწესებულებების გეგმას არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, საარჩევნო ინსტრუქციასა და სხ.

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები

გორის და ახალციხის მაზრებში

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. გრ. კიზირიამ, რომელიც გაგზავნილი იყო გორის და ახალციხის მაზრებში საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნების მიმდინარეობის გამოსაკვლევად, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგ:

ვინაიდან ზამთარში შეუძლებელი ხდება მთიან ადგილებში არჩევნების წარმატებით ჩატარება, საქ. ცაკმა გორის აღმასკომს ნება დართო შემოდგომაზე საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები ჩაეტარებინა შემდეგ თემებში: გოსტიბის, ახალსოფლის, ბაკურიანის, ორმოცის, ზღუდერის და გუჯარეთის თემებში, ხოლო ახალციხის მაზრას ცაკის დადგენილებით ნაწილობრივი არჩევნები უნდა ჩაეტარებია ადიგენის, ურაველის, ნიალა ლეპისის, ხველის, ტოლოშის და შალიშეთის თემებში. აღნიშნულ მაზრებს საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები უნდა ჩაეტარებიათ 15 ოქტომბრამდე. საქ. ცაკის დადგენილებით გორის მაზრას არჩევნების ჩატარების ვადა გაუგრძელდა 31 ოქტომბრამდე.

არჩევნების ჩასატარებლად სამაზრო აღმასკომებთან დაარსებული იქნა საარჩევნო კომისიები. როგორც გამოირკვა არჩევნებისათვის სამზადისი მუშაობა ადგილებზე, კერძოდ გორის მაზრაში, არ ყოფილა სათანადოთ წარმოებული, რის გამო ზოგიერთ თემებში ადგილი ქონდა დეფექტებს. გარდა ამისა სამაზრო აღმასკომების ნაწილობრივ არჩევნებისადმი უყურადღებობას უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ არჩევნები ყველა მთიან ადგილებში ვერ იქნება თავის დროზე ჩატარებული. მაგალითად, ახალციხის მაზრაში ნაწილობრივი არჩევნები ნაცვლად 15 ოქტომბრისა, დამთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ახალციხის მაზრაში წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა, გორის მაზრასთან შედარებით, წარმატებით იქნა ჩატარებული. ახალციხის მაზრაღმასკომის პლენუმზე გარჩეულ იქნა ნაწილობრივ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. თემებში, ერთი თემის გარდა, დაარსებულია საარჩევნო სათემო კომისიები. შედგენილია ამრჩეველთა და შავი სიები, თემები დაყოფილია საარჩევნო უბნებათ და სხვ. სამაზრო აღმასკომს შედგენილი აქვს თემებში საანგარიშო კამპანიის ჩატარების კალენდარული გეგმა. იმ თემებში, სადაც თურქი მოსახლეობა სჭარბობენ, საარჩევნო კომისიებზე მაზრის ცენტრიდან მომაგრებული არიან თურქი ამხანაგები.

გორის მაზრაში არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებისა და საარჩევნო ინსტრუქციების განსახილველად თემსაბჭოების სხდომები სუსტად იქნა ჩატარებული. სხდომებს არ დასწრებია საბჭოს წევრი ქალები და წევრთა 40—50 პროცენტი. არც სოფლის ულარიბესი ნაწილი და სოფლის აქტივი დასწრებია ამ სხდომებს.

სამაზრო საარჩევნო კომისიას არ გაუგზავნია საარჩევნო კალენდარული გეგმები და არც დირექტივები მიუცია. თემის საარჩევნო კომისიებისათვის.

მიღებულია ზომები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად და ნაწილობრივ არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად გორისა და ახალციხის მაზრებში.

ქრონიკა

ამხ. ა. ს. ერისთავის მივლინება გერმანიაში

თბილისის მუშკოოპის გამგეობის დადგენილებით, მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ს. ერისთავი იგზავნება გერმანიაში, გერმანიის კოოპერაციის შესასწავლად.

ამხ. ერისთავი გერმანიაში გაემგზავრება ამ დღეებში.

ახალგაზრდათა მონაწილეობა კოოპერაციაში

„ცენტროსოიუზი“ საკავშირო ლენინელთა კომკავშირის ცეკასთან ერთად ახლო ხანში მოსკოვში იწვევს თათბირს კოოპერაციაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ.

თბილისში მუშკოოპის დადგენილებით ხსენებულ თათბირზე დასასწრებლად იგზავნება ამხ. გ. ხაძე („ცენტროსოიუზი“-ს საბჭოს წევრი ახალგაზრდებიდან).

ა.-კ. სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის მუშაკთა მეორე ყრილობა

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს ა.-კ. სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის მუშაკთა მეორე ყრილობის მოწვევის საკითხი.

გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო ა.-კავკასიის ყრილობის მოწვევა საკავშირო ყრილობის შემდეგ, მხოლოდ არა უგვიანეს იანვრისა.

საბაზრო კომიტეტი

თბ. აღმასკ. ვაჭრობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ დაამთავრა საბაზრო კომიტეტების მოწყობა. ამჟამად საბაზრო კომიტეტები მოწყობილია შემდეგ ბაზრებში: ყოფ. მუხრანის ბაზარში, ცენტრალურ ბაზარში, დეზერტირკაზე, ხითაროვისეულ და თათრის მოედანზე. ახლო ხანში საბაზრო კომიტეტი დაარსებული იქნება ვერის ბაზარში.

საბაზრო კომიტეტების დაარსების მიზანია ბაზრებში სანიტარული პირობების დაცვა, ბაზრების კეთილმოწყობა და სხ. ამავე კომიტეტების საშუალებით ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება გაატარებს სათანადო ორგანოების დადგენილებებს ბაზრების მოწესრიგებისა და ნიხრის დაცვის შესახებ.

ხორცის დახარისხება

დახარისხებულ ხორცით ვაჭრობის შემოღებასთან დაკავშირებით ვაჭრობას მომწესრიგებელი განყოფილების დადგენილების თანახმად დღეს ქალაქის სასაკლაოზე იწარმოებს საქონლის სანიმუშო დაკვლა და აჩნა. საქონლის დაკვლას დაესწრებიან დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში შემდეგი ახალი წიგნები: 1) ი. სტალინი—მემარჯვენე გადახრის შესახებ—48 გვ., ფასი—15 კ., 2) ნ. ბუხარინი—პროგრამის საკითხი კომუნისტურ ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესზე;—92 გვ. ფასი—50 კ.

თბილისის აღმასკომში

◆ **აგრო-დახმარების** გასაძლიერებლად მაზრაში, სადგილ-მამულო განყოფილებამ დაადგინა გაადიდოს მაზრაში არსებულ აგრონომიულ დახმარების პუნქტების რიცხვი.

◆ **წყალსადენი გარეუბნებში.** კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა წყალსადენის მთავარი მაგისტრალი გაიყვანოს მთაწმინდის რაიონში.

სხვადასხვა

◆ **ქართული ენის კაბინეტში.** (მე-14 შრ. სკ.) დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება ქართული ენის მასწავლებელთა მუშაობა. მოხსენებას ფონეტიკის შესახებ წაიკითხავს ვარ. თოფურია.

◆ **სახ. უნივერსიტეტის შენობაში** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება იურიდიულ სამეცნიერო წრის წევრთა საერთო კრება.

◆ **თბ. ქართულ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** საზოგადოების მორიგ კრებაზე, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 8 ს. სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში, პროფ. ხვ. ვირსალაძე წაიკითხავს მოხსენებას: „პლაზმოქინი და მისი მნიშვნელობა მალარიის თერაპიაში“. ხვ. კანდელაკი: მალარიის თანამედროვე ქიმია და პლაზმოქინოთერაპია“.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მესტიიდან—კოჟევნიკოვს, ირკუტსკიდან—აბაგიანცს, სოხუმიდან—შვერცელს, ველისციხიდან —აკოფოვს.

ხელოვნება

კომპოზიტორი პეტრე ილიასძე ჩაიკოვსკი

(გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო)

დღეს სახ. ოპერაში გაიმართება საგანგებო კონცერტი ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო. 1893 წლის 25 ოქტომბერს ხოლერისაგან გარდაიცვალა ქ. ლენინგრადში (ყოფ. პეტერბურგში) რუსეთის მუსიკის უდიდესი ბუმბერაზი პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი. გარდაიცვალა მაშინ, როდესაც მისი ნიჭი გაშლილი იყო, როდესაც მას შეეძლო კიდევ ბევრი პროდუქციის მოცემა. ჩაიკოვსკი დაიბადა 1840 წლის 25 აპრილს „ვოტკინის“ რკინეულობის ქარხნაში (ვიატკის გუბერნია), სადაც მისი მამა ილია ჩაიკოვსკი მსახურობდა. მშობლებმა გამწესეს 8 წლის ჩაიკოვსკი ლენინგრადში არსებულ „კანონთა მეცნიერების“ სასწავლებელში. იქ ბავში ვალობდა სასულიერო გუნდში გამოჩენილ მუსიკოსის ლომაკინის ლოტბარობით, ფორტეპიანოზე დაკვრას — კი სწავლობდა პიანისტ რუდოლფ კიუნდინგერთან. აღსანიშნავია, რომ კიუნდინგერი არ ამჩნევდა ჩაიკოვსკში არავითარ განსაკუთრებულ ნიჭს, და ეს გაკვეთილები ჩქარა შესწყდა, ვინაიდან მატერიალურ უსახსრობისა გამო ჩაიკოვსკის მშობლებს უძნელდებოდათ კიუნდინგერისათვის გასამრჯელოს მიცემა. ჩაიკოვსკის ნიჭმა და მუსიკისადმი მისწრაფებამ თავი იჩინა მხოლოდ წარსულ საუკუნის მე-60 წლებში, როდესაც მან უკვე სწავლა-დამთავრებულმა და სამსახურში გამწესებულმა, უეცრივ მიატოვა ყველა თავის საქმე და სამსახურიც, და შეუდგა მუსიკის კანონების შესწავლას. გამოჩენილ მუსიკოსის ანტონ რუბინშტეინის ხელმძღვანელობით დაამთავრა ახლად დაარსებული ლენინგრადის კონსერვატორია და გამოვიდა მუსიკალურ ასპარეზზე.

ჩაიკოვსკის ცხოვრების ამ პერიოდში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისმა არც ერთმა იმდროინდელმა თხზულებამ ვერ მიიქცია საზოგადოების ყურადღება; მის მთელ რიგ კომპოზიციებს სუსტად სთვლიდენ, როგორც რუბინშტეინი, ისე თვით ჩაიკოვსკიც. დამახასიათებელია ის დაუნდობელი კრიტიკა, რომლითაც ჩაიკოვსკი ეკიდებოდა თავის საკუთარ თხზულებებს და რომელმაც აიძულა ჩაიკოვსკი თავისი ორი ოპერის — „ვოევოდა“-ს და „უნდინა“-ს პარტიტურების განადგურება. ეს კრიტიკა ხელს უწყობდა ჩაიკოვსკის მხატვრულ ნიჭის მომწიფებას, უჩვენებდა მას ნამდვილ მხატვრულ ზედმიღწევნის გზას, აღრმავებდა მის მუსიკალურ აზროვნებას. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ როდესაც გამოქვეყნებულ იქნა წარსულ საუკუნის მე-70 წლებში მისი შესანიშნავი მე-2 და მე-3 სიმფონიები, ჩაიკოვსკის შემოქმედებამ მიიპყრო ყურადღება, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. აქედან იწყება ჩაიკოვსკის სახელგანთქმულობა, მისი არა ერთხელ მოგზაურობა საზღვარგარეთ კონცერტების გამართვის მიზნით და საზღვარგარეთის აღტაცება რუსულ მუსიკის სიმდიდრით.

რუსეთის მუსიკოსთა შორის ჩაიკოვსკიმ დაიკავა საპატიო და დამოუკიდებელი ადგილი, ის სრულებით თავისუფალია როგორც რუსეთის მუსიკოსთა უფროს ჯგუფისა (გლინკა, ტიტოვი, ვარლამოვი, გურილევი, ალაბიევი), ისე ე. წ. „ძლიერთა“ ჯგუფის. (რიმსკი-კორსაკოვი, ბოროდინი, ბალაკირევი და სხვ.) ზეგავლენისაგან. მართალია, ამ უკანასკნელ ჯგუფთან ჩაიკოვსკის ქონდა მეგობრული კავშირი, მაგრამ მხატვრული გზები მათ ქონდათ სხვადასხვანაირი. თუ „ძლიერთა“ ჯგუფი მიზნად ისახავდა ნაციონალურ მოძრაობის განსახიერებას მუსიკაში, ჩაიკოვსკი მიესწრაფოდა ლირიზმის სიძლიერისა და გაღრმავებისაკენ. ინტუიტიურ განცდის განსახიერებისაკენ. ამ მხრივ მან მიაღწია იმგვარ სიმძლავრეს, რომელიც მიუწვდომელი იყო მისი თანამედროვე მუსიკოსებისათვის.

ჩაიკოვსკიმ დასტოვა მრავალი ნაწარმოები, როგორც სიმფონიური, ისე საოპერო, ოთხხმოვანი კვარტეტისათვის და ცალკე სასიმღერო. საუკეთესოდ ამ ნაწარმოებებში ჩაითვლება უკანასკნელი მისი ნაწარმოები—მე-6 „პათეტიური სიმფონია“, ოპერები—„პიკის ქალი“ და „ევგენი ონეგინი“ და სიმფონიური ფანტაზიები შექსპირის და დანტეს თემებზე: „რომეო და ჯულიეტა“, „გრიგალი“ და „ფრანჩესკა და-რიმინი“.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

სასამართლო

გაფლანგვა ინვალიდთა დამხმარე კომიტეტში

(პროცესის მეხუთე დღე)

ერთი დღის მუშაობის შემდეგ ექსპერტებმა დაამთავრეს მუშაობა და წარმოუდგინეს სასამართლოს პასუხი მხარეების ყველა წერილობითი შეკითხვებზე.

ექსპერტების დასკვნით, ლ. რუხაძეს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტში მუშაობის განმავლობაში გაფლანგული აქვს 12,881 მანეთი.

საქმის გარჩევის პროცესში სასამართლომ მიიღო სისხლის სამართლის მილიციიდან ოფიციალური ცნობას ლ. რუხაძის ბნელი წარსულის შესახებ რევოლუციამდე რუხაძე ყოფილა (ცნობილი ბანდიტი, რკინის გზაზე ჩადენილ ქურდობისათვის მისჯილი ჰქონია 2 წ. წლით პატიმრობა; ამ სასჯელის მოხდის შემდეგ რუხაძე იდევნებოდა, როგორც ქურდების ბანდების მეთაური და ყალბი ფულების გამსაღებელი.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის და სათანადო საბუთების გამოქვეყნების შემდეგ იწყება მხარეთა კამათი.

პროკურორი, ამხ. **გრიგოლია** ანალიზს უკეთებს საქმეში დაგროვილ მასალებს და სავსებით დადასტურებულად სთვლის ორივე ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს.

პროკურორი ლავრენტი რუხაძეს ახასიათებს გაუსწორებელ პიროვნებად და საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტად. პროკურორის სიტყვით, რუხაძე უნდა დაისაჯოს უმკაცრესი სასჯელით.

ღამის 12 საათზე სასამართლო გადადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

ხუთი საათის თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი.

ლავრენტი რუხაძეს (ცაკთან არსებულ ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის კომერციული ნაწილის ყოფ. გამგეს) **დაუმტკიცდა 12,881 მანეთის გაფლანგვა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით სასტიკი იზოლიაციით და სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით. ამნისტიის შეუფარდებლად.**

ედუარდ ლუხტანს (კომიტეტის საექსპლოატაციო ნაწილის გამგის ყოფ. თანაშემწე) მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ ამნისტიის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნა.

„თეთრი დუქნის“ გმირების გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

დღეს საღამოს 6 საათიდან ტრანსპორტის მუშათა კლუბში (პლეხანოვის გამზირზე) დაიწყება მუშკოოპის ყოფ. თანამშრომლების საჯარო გასამართლება.

სასამართლოს წარუდგებიან: **ზაქარია სოლომონისძე არაქელაშვილი** (მუშკოოპის ავტომობილის შოფერი), **დავით ბესარიონის ძე არსენიშვილი** (მუშკოოპის გარაჟის დროებითი გამგე), **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გრძელიშვილი** (მუშკოოპის საგასტრონომიო სექციის გამგე), **სერგო გრიგოლის ძე ერმოლოვი** (საბუღალტერო განყოფილების გამგის მოადგილე) და **კონსტანტინე ივანეს ძე პურადაშვილი** (მუშკოოპის კორესპონდენტი).

როგორც მკითხველებმა იციან, ზემოდ დასახელებულმა პირებმა ამა წლის 22 სექტემბერს საღამოს 12 საათზე მუშკოოპის ავტომობილი გაიტანეს „თეთრი დუქნისაკენ“, სადაც დილის 4 საათამდე გაჩერებული ჰყავდათ ავტო და ქეიფობდნენ.

უკან დაბრუნებისას მთვრალმა მუშკოოპელებმა ავტომობილი დააჯახეს ხილით დატვირთულ ურემს, რომელზედაც ისხდნენ მამა-შვილი ლახურაშვილები გლეხი აბრამ ლახურაშვილი (მამა) მოჰყვა ავტომობილსა და ურემს შუა. გადაემტვრა მარცხენა ფეხი, დაიზიანდა მთელი სხეული, მძიმედ დაშავდა აგრეთვე იმის ვაჟიც. ურემი დაიმტვრა. ერთი კამეჩი კლდეში გადაიჩეხა. დამტვრეულ-დასახიჩრებულმა გლეხებმა მორთეს გულშემზარავი ყვირილი მაგრამ ღვინით გალეშილ შოფერსა, და მის თანამეინახეებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ მათთვის.

მიატოვეს ისინი უმწეო მდგომარეობაში და მანქანა თბილისისაკენ გამოაქანეს. (დაწვრილებით იხილეთ ჩვენი გაზეთის 244 №-ში).

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ბერიაშვილი.

ბრალს სდებს პროკურორი ამხ. ჯანჯღავა.

ზერ.

შემთხვევები

ბანდიტის დაპატიმრება

ამას წინად პავლე სერგოს ძე კოვალენკომ მოკლა ვასილ პაპავაძე და ბაგრატ სარქისოვი და მძიმედ დასჭრა დავით მამამთავრიშვილი, ალექსი ნიკიტინი (მეტ სახელად შუხუნოვი) და კარაპეტ კარპუხი (მეტ სახელად მანუკოვი). ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ კოვალენკო მიიმალა.

გუშინ, საღამოს, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა კოვალენკო დააპატიმრეს თბილისში.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, კოვალენკო თბილისში ეწეოდა ბინებისა და მაღაზიების გაქურდვას. ბოლო ხანებში მან შეადგინა მძარცველთა ბანდა, რომელშიაც შედიოდნენ ზემოთ დასახელებული პირები. ნაძარცვის გაყოფის ნიადაგზე ქურდ-რეციდივისტებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. კოვალენკომ გადასწყვიტა თავიდან მოეცილებია მისი ამხანაგები და განზრახვა სულ მოკლე ხანში კიდევაც განახორციელა.

აღსანიშნავია, რომ კოვალენკო ამჟამად არის 21 წლის. ხოლო, როგორც ირკვევა, ქურდ-ბაცაცობა მან დაიწყო მაშინ, როცა 12 წლისა იყო.

1926 წელს კოვალენკოს მკვლელობისათვის აჯკავის სახალხო სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი მან მოიხადა მიხეილ სერგოს ძე კუზმინის გვარით.

მკვლელობა

მოქ. ერვანდ იოსების ძე სარიბეგოვმა დანით მოკლა კარაპეტ ნიკოლოზის ძე პაატოვი (მცხ. სოლომონოვის ქუჩა № 14). მკვლელობის მიზეზი ირკვევა. სარიბეგოვი დაპატიმრებულია.

დაჭრა

გუშინ, დღისით, ვახტანგ დიმიტრის ძე რჩეულიშვილმა (მცხ. ელბაქიძის დაღმართი № 3) დანით მსუბუქად დასჭრა პავლე ნიკოლოზის ძე სხირტლაძე (მცხ. ტროცკის ქუჩა № 8). რჩეულიშვილი დააპატიმრეს.

გაფლანგვა

დაპატიმრებულია გრიგოლ ივანეს ძე სიხარულიძე, რომელსაც ბრალდება საბინაო კავშირის კუთვნილი 920 მანეთის მითვისება.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ვასილ ივანეს ძე გოლოსოვი, რომელსაც ბრალდება ცხენის ქურდობა.

ქურდობა

გაქურდეს ეკატერინე კვირკაიას ბინა; წაიღეს 120 მანეთის ტანისამოსი.—მიხაკო პეტროსიანცის ბინიდან მოიპარეს 80 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ნიკოლოზ სიმირთაკოვის ბინა (რეუტოვის ქუჩა № 29); მოპარულია 50 მანეთის ნივთები.—იასონ ივაშვილის ბინიდან (ბოგადირის შესახ.); მოიპარეს 120 მანეთის ნივთები.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურელების თათბირები

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭომ ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და ყველა ფიზკულტურელებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

— ამას წინად დამთავრდა ფიზკულტურის დღესასწაული, როგორც საქართველოში და ამიერ-კავკასიაში, ისე საბჭოთა კავშირში.

ჩატარებული დღესასწაულები ერთხელ კიდევ ხაზს უსვამენ ფიზკულტურის უდიდეს მნიშვნელობას მშრომელთა კლასობრივ აღზრდის საქმეში.

აღნიშნულმა დღესასწაულებმა დაამტკიცა, რომ საბჭოთა ფიზკულტურას დიდი მიღწევები აქვს, როგორიცაა: ფიზკულტურის იდეის გაძლიერება და განმტკიცება მშრომელთა მასებში, ორგანიზაციების ზრდა, მნიშვნელოვანი სასპორტო-ტეხნიკური მიღწევები და მუშათა და გლეხთა მასების მონაწილეობა ფიზკულტურაში, რაც ამტკიცებს იმას, რომ საბჭოთა ფიზკულტურა განვითარების სწორ გზაზე დგას.

მაგრამ ამ დადებით მხარეებთან ერთად დღესასწაულებმა გამოაშკარავა მთელი რიგი დეფექტები; ასეთია: პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად წარმოება ფიზკულტურის წრეებში, სუსტი ხელმძღვანელობა ფიზკულტურის საბჭოებისა, უწყებებისა და ორგანიზაციების მხრიდან და მუშების და გლეხების არა საკმარისად ჩაბმა ფიზკულტურულ მუშაობაში.

ყველა ამ ნაკლოვანებათა გაშუქებისა და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების გამოსამუშავებლად ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო წინადადებას იძლევა ახლო მომავალში მოწვეული იქნეს ფიზკულტურელების სამაზრო და საქალაქო თათბირები, რომლებზედაც განხილული უნდა იქნეს ჩატარებული დღესასწაულების შედეგები და ფიზიკური კულტურის მორიგი ამოცანები.

ამ თათბირებზე დასმული უნდა იქნეს აგრეთვე საკითხი ფიზკულტურის პოლიტიკური მნიშვნელობისა და მისი როლის შესახებ მუშა და გლეხთა მასების ინტერნაციონალური აღზრდის საერთო სისტემაში. თათბირებზე გადაჭრით დაგმობილი უნდა იქნეს ნაციონალისტური ტენდენციები სპორტში.

ვინაიდან ომის საფრთხე თანდათან რეალური ხდება და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს გააძლიერონ სამხედრო მუშაობა ფიზკულტურის ორგანიზაციებში და საერთოდ ფიზკულტურის წრეების მუშაობა წარმართონ ისეთი წესით, რომ ფიზკულტურა მთლიანად წარმოადგენდეს შეგნებულ მებრძოლთა მძლავრ კლასიურ ორგანიზაციას.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს თვითკრიტიკის ფართოთ გატარებას ფიზკულტურის ორგანიზაციებში.

პროფკავშირების ნაკრები გუნდის გამგზავრება

ამ დღეებში ტაშკენტში (უზბეკისტანი) მიემგზავრება პროფკავშირების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც იქ ჩაატარებს რამდენიმე შეჯიბრებას.

გუნდში შედიან: **პაპოვი, მატიენკო, ვორონოვი, დოლგოლეევი, იმნაძე, რამიშვილი, აივაზოვი, მაღალაშვილი, დიაკოვი, ასლამაზოვი და ხომოვი.**

გუნდს წარმომადგენლად მიყვება ტ.-კ ფიზკულტურის საბჭოს მდივანი ამხ. **ტესტენეცი.**

ტენისის გუნდის გამგზავრება ბაქოში

20 ნოემბერს ბაქოში მიემგზავრება ტენისის მოთამაშეთა გუნდი 6 კაცის შემადგენლობით. გუნდს შეჯიბრება ექნება ბაქოს საუკეთესო გუნდებთან.

ქალაქის პირველობის გათამაშება ფეხბურთში

ახლო ხანში დაიწყება ქალაქის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ „დინამო“, გემოკვების მუშაკები, საბჭოთა მუშაკების ნაკრები გუნდი, მელითონეები და რკინისგზელები.

ქ უ თ ა ი ს ი

ბრძოლა ხანძრის წინააღმდეგ

ქუთაისში ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, გასულ წლებში ვერ იყო სათანადო დონეზე დაყენებული. სამაზრო აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიაქცია. ადგილობრივი სახანძრო რაზმისათვის შეძენილია „ფიატის“ და „ბენცის“ სისტემის ორი სახანძრო ავტო-მანქანები, ორთქლსაქაჩავი ტუმბო და ორი კიბე. მომავალი წლისათვის განზრახულია სრულიად ახალი სახანძრო ავტო-მანქანის შეძენა, ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოყალიბებულია მუშებისაგან შემდგარი ხანძრის წინააღმდეგ მებრძოლი მოხალისეთა რაზმები, სწარმოებს ავტო-მანქანებისათვის გარაჟის აგება, რომლის დამთავრება განზრახულია მომავალი წლის პირველ იანვრისათვის. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას განზრახული აქვს აგრეთვე სახანძრო რაზმისათვის ახალი შენობის აგება. ამ მიზნით აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს კომუნალური ბანკის წინაშე გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ—73.000 მანეთის რაოდენობით.

აგრო-გამოფენები ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის სამაზრო აგრონომიული ორგანიზაციები აწყობს მოსავლის დღესასწაულს. თემებსა და რაიონებში დღესასწაულის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე ჩატარდა, მოსავლის კამპანიის ჩატარებასთან ერთად შეფარდებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. ასეთი გამოფენები მოეწყობა მაზრის 4 მთავარ რაიონში: ორპირის, ხონის, სამტრედიის და ვანის რაიონებში.

საშემოდგომო თესვა

საშემოდგომო თესვის კამპანია ქუთაისის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. სამაზრო აგრონომიულმა ორგანიზაციებმა მაზრის იმ რაიონებში, სადაც საშემოდგომო თესვას მისდევენ, ჩაატარა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. მაზრაში სათესლე ხორბლეულის მარაგი ამჟამად უდრის 4.000 ფუთს, აქედან 2.000 ფუთი მიღებულია „სოფლის კავშირიდან“, ხოლო დანარჩენი მაზრის სხვადასხვა რაიონებიდან.

აღნიშნული სათესლე მარაგი აკმაყოფილებს მხოლოდ მაზრის მოსახლეობის 30 პროც. სათესლე ხორბლის საკმაო რაოდენობით მოსამარაგებლად მიღებულია სათანადო ზომები.

ახალი შენობა სტამბისათვის

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების სტამბის ნორმალურ მუშაობას აფერხებს სათანადო შენობის უქონლობა. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას ხუთწლიან გეგმაში განზრახული აქვს აღნიშნული სტამბისათვის ახალი შენობის აგება.

ახალი სამრეწველო განყოფილება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ ჩამოაყალიბა ახალი სამრეწველო განყოფილება. განყოფილების მიზანია მაზრაში არსებული ყველა სამრეწველო წარმოება-დაწესებულებებს, რომლებიც უშუალოდ ქუთაისის აღმასკომის განკარგულებაში იმყოფებიან, ტეხნიკური ხელმძღვანელობის გაწევა. აღნიშნული აპარატის შესანახად აღმასკომმა თავის ბიუჯეტიდან გაიღო 10498 მან.

რკინის გზებზე

ინჟენერების გამოყენება

გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკინისგზების გამგეობას აცნობოს, თუ როგორ იყენებენ გზებზე უმაღლეს სასწავლებლების ახლად კურსდამთავრებულ ახალგაზრდა ინჟენრებს.

იმ შემთხვევაში თუ გამოირკვა, რომ ხსენებულ ინჟენრებს იყენებენ არა დანიშნულებისამებრ, გზათა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ასეთების გადაყვანა და გამოყენება საბჭოთა კავშირის სხვა გზებზე.

ტელეფონის ახალი სადგური

თბილისში გაიხსნა რკინისგზის ახალი ტელეფონის სადგური. სადგური მოწყობილია ისე, რომ იგი დააკმაყოფილებს 320 აბონენტს.

მიმდინარე ნოემბერში სადგური გაფართოვდება, რადგან გზების გამგეობა მოელის კიდევ 160 ნომრის შემცველ ორ კომუტატორს.

ამგვარად სულ სადგური დააკმაყოფილებს —480 აბონენტს.

ახალი სადგურის გახსნასთან დაკავშირებით, ტელეფონის ძველ აპარატებს დააგზავნიან ხაზებზე, ადგილებთან სატელეფონო კავშირის გაძლიერების მიზნით.

საკრედიტო დისციპლინის დარღვევისათვის

თანხების არაკანონიერად ხარჯვისა და ამით საკრედიტო დისციპლინის დარღვევისათვის ნავთსადენის სამართველოს მესამე უბნის უფროსს **გალუსტოვს** გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

23.257 მანეთის ზარალი

შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს თერთმეტი საქმე მატარებლების დამტვრევისა და სხვა შემთხვევების შესახებ.

ყველა ამ შემთხვევებისაგან გზისთვის მიყენებული ზარალი გამოიხატება—23.257 მანეთში.

დამნაშავე აგენტებიდან ზოგიერთები მოხსნილი არიან სამსახურიდან, სამი მიცემულია პასუხისგებაში სასამართლო წესით და ზოგს გამოცხადებული აქვს საყვედური.

შავი ზღვის რკინის გზის დასამთავრებლად

გზათა სახალხო კომისარიატმა შავი ზღვის რკინის გზის ახალსენაკ-ზუგდიდის უბნის დასამთავრებლად 1928—29 წლისთვის გადასდო ორი მილიონი მანეთი. მუშაობა ამ უბნის დასამთავრებლად გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, სწრაფის ტემპით უნდა სწარმოებდეს.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 15 ნოემბერი

საღამოს 6 საათიდან რადიო-გადაცემა რკინისგზელთა რადიო-სტუდიიდან.

9 საათიდან ჩაიკოვსკის ხსოვნისათვის მიძღვნილ კონცერტის ტრანსლიაცია.

პარასკევი, 16 ნოემბერი

პარასკევს, 16 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება—„მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების 10 წლის თავი“, თურქული რადიო-გაზეთი; მუსიკალურ შესვენება; ტეხნიკური კონსულტაცია, ამხ. ტაგიევის მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; 17 ნოემბრის პროგრამის გადაცემა; კონცერტი სტუდიიდან; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: კაზიმირ ისტროევს, რუბენ აპრიამოვს, სერგო აკოფოვს, ევგენია რუსოვს; ოგანეს მიკირტუმოვს; ვერა კვირიკაშვილს, აგნესა კულიკოვსკაიას, აბრამ ლივშიცს; გაიკ აზატიანს; ივანე ხიკულის; სურენ გაბრიელიანს; ივანე გეის, იოსებ ხანოვიჩს; ლევან მატინოვს; არშალუის ბაგრამოვს; ვასილ გუჯაბიძეს, გრიგორ სარიაშვილს, ნიკოლოზ კიკვაძეს; ალექსი დაბრუნდაშვილს; სოფიო ანდრიასოვს; აიკანუშ მარტიროსოვს; გიორგი ბუჯიაშვილს; მიხეილ ჩ[illegible]ნოვს; მიხეილ ამირაგოვს; მარიამ კოჩიკაიას; მიცკევიჩს, გორლაჩოვს; ლუბა აგოროშოვს; ბასარიას, მამია ჩაჩავას; ეკატერინე სადაურიძეს; აპოლონ ქეშელავას; ოლღა სეგალს; იოსებ თაბუაშვილს; თამარა ავეტისოვას; შელიაჰ-შახნაზაროვს.

მედსექციიდან—მიხეილ შახნაზაროვს, მიხეილ უბენკოს, ივანე გოკიელოვს, გერმანე ჯიბუტის; ნინო ლორთქიფანიძეს; დილბანი დის, სიმონ გეგზონრს, ტიგრან თათეოსიანს, ფემიანე სვანიძეს; ივანე გოგიტიძეს; დომენტი თავხელიძეს.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან—ივანე გოგლიძეს; ალექსანდრე ქებაძეს; ივანე კალატაძეს. ალფეზ ფარჯანაძეს, ნესტორ რთკელაძეს; ილია მაჭავარიანს, საქულა მერაბაშვილს, ტატიანა კოვალიევას, სოფიო დივნისოვას, ირინე შმაკოვას; ეკატერინე ჩერკასოვას; ევდოკია ევდოკიმენკოს; ელენა შავარშაძეს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის „26“ კომუნართა სახელობის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, 16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე, **მოწვეულია პარტაქტივის სარაიონო თათბირი.** რაიკომის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, უჯრედთა მდივნებს, ბიუროს წევრებს და ფაბქარხადგილკომების ფრაქციის წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის „26“ კომუნართა სახელობის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. არტემ გოიგვაძე, არამ გეურქოვი, კარაპეტ მინასიანი, აიკანუშ მალხასიანი, ივანე დავრიშევი, ალექსანდრე ხომასურიძე, ვართან ოგანეზოვი, [illegible] ბალუჯიანი, ვლადიმერ ჩიტიაშვილი, ამირან სირაძე, დ. ბაღათურია, ანთიმოზ დოჭვაძე, ხაჩატურ ბადალიანი, ალ. მჭედლიშვილი, ზურაბ თათოევი, ვლადიმერ მჟავანაძე, ილია ბიჯიაშვილი, ეფემია ჯვებენავა, გურგენ კარახანოვი, სპირიდონ კაბილუეცელაშვილი, ა. სარქისოვი, იოსებ ფეტვიაშვილი, გრიგოლ შაუმიანი, პეტრე ნოზნიკოვი, ილია გუჩმაზოვი, კოტე მახარაშვილი, ვარლამ ვარამაშვილი, ზაქრო მაზმიშვილი, გიორგი ძიკაშვილი, ერვანდ მირუაშვილი, გეურქ მარტიროსოვი, სტეფანე სტეფანოვი, მიხეილ ქსოვრელი, ალექსი გრიგორიანი, სანდრო სადაგაშვილი, გაიკ ატვედროვი, ამროსი კერვალიშვილი, გურგენ კარაკოზოვი, გიორგი არღაია, შიო კოპალიანი, გოზალ ნადოევი, იოსებ მალალაშვილი.

სახ. უნივ. გაერთიანებულ კომუჯრედთა **ბიურო-კოლექტივი** წინადადებას აძლევს ყველა პარტ. კანდიდატებს, რომლებიც არ გატარებულან პარტ. კანდიდატების შემოწმებაზე, გამოცხადდენ დღეს, 15 ნოემბერს, ბიურო კოლექტივში კანდიდატთა შემმოწმებელ კომისიაში. კომისიის სხდომას უნდა დაესწროს ბიურო-კოლექტივის წევრები და უჯრედის მდივნები.

დღეს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნების თათბირი. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) პარტგანათლების შესახებ; 2) უჯრედების სამუშაო გეგმა ნოემბერ-დეკემბერში; 3) მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების 10 წლის თავის შესახებ; 4) უპარტიო მუშათა კონფერენციის მოწვევის შესახებ და 5) მიმდინარე საკითხები. უჯრედების მდივნების დასწრება თათბირზე სავალდებულოა.

სახ. პოლიტ. ინსტ. მექანიკური ფაკულტ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, მე-2 კურსის კომკავშირლების საყურადღებოდ, რომ, ისინი ვალდებულნი არიან გატარდნენ აღრიცხვაზე ტეხნიკურ მდივანთან ორი დღის განმავლობაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილების სააღრიცხვო ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ეკატერინე გოგუაძეს და ალექსანდრე ბალუაშვილს გამოცხადდენ ორი დღის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილების **სააღრიცხვო** ქვე-განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან, ოთახი № 23.

დღეს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის დახურული სხდომა.

დღეს, 12 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. კომკავშირის ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება საქ. პოლიტეხ. ფაკულტეტის საამშენებლო დარგის ა. ლ. კ. კავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა, ბიუროს წევრ-კანდიდატთა გარდა უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც აქვთ შემოტანილი განცხადებები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ 15 ნოემბერს დილის ცხრა საათზე შესდგება კოლეგიის სხდომა. სავალდებულოა ქვემოდასახელებულ ამხანაგების დასწრება: შავერდოვა (ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება), ანდრიაძე (თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება) ნ. მახარაძე (განათლების სახალხო კომისარიატი), ბოკერია („წერა-კითხვა“), დიმოევი (საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი), თენეიშვილი (საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია), პიტოევი ((ცენტრალური კომიტეტი), იმედაძე (პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო), ჩერქეზიშვილი (საქართველოს პროფესიონალური კავშირების **საბჭო**).

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. შრომსახკომის და სრ. საქ. სოცდაზღვ. კომიტეტის გაერთიანებული ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რესპ. სასოფლო სამეურნეო უფროს ინსპექტორის და სრ. საქ. სოცდაზღვ. კომიტეტის წევრის

ამხ. სანდრო ოგანოვის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 15 ნოემბერ—3 საათზე შრომსახკომის მუზეუმიდან—ძნელაძის ქ. № 30. დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 4867

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება გულწრფელ და დაუღალავ მუშაკის, რესპუბლიკის სასოფლო სამეურნეო უფროს შრომის ინსპექტორის

ალექსანდრე (სანდრო) ნიკოლოზის-ძე ოგანოვის

სამსახურის აღსრულების დროს გარდაცვალებას. 4871

საქ. ს.ს.რ. შრომის სახ. კომისარიატის და სოციალური დაზღვევის კომიტეტის კომუჯრედი გულითადი მწუხარებით იუწყება პარტიის წევრის—ძველი მუშა-რევოლუციონერის და ენერგიით აღსავსე

ალექსანდრე (სანდრო) ოგანოვის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ნოემბერს, ყოფ. ხოჯევანქის სასაფლაოზე. გამოსვენება შრომის სახკომისარიატის მუზეუმიდან ნაშუადღევის 3 საათზე (ძნელაძის ქ. № 30). 4870

საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატის და სოციალური დაზღვევის კომიტეტის თანამშრომლები უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უანგარო და საუკეთესო მუშაკის და მეგობრის, რესპუბლიკის სასოფლო სამეურნეო უფროს შრომის ინსპექტორის

ალექსანდრე (სანდრო) ნიკოლოზის-ძე ოგანოვის

თავის მოვალეობათა აღსრულების დროს გარდაცვალებას. დაკრძალვა ა. წ. 15 ნოემბერს, ყოფ. ხოჯევანქის სასაფლაოზე. გამოსვენება შრომის სახკომისარიატის მუზეუმიდან, ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 30. 4869

ღრმა მწუხარებით გაუბედურებული მეუღლე ალათი ნიკოლოზის ასული, შვილი [illegible] და რძალი ლიდა პავლეს ასული აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ინტაბუეთში (გურია) გარდაიცვალა [illegible] ძვირფასი და დაუვიწყარი

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დასაფლავება მოხდება 15 ნოემბერს, ხუთშაბათს, 3 საათზე. ს. ინტაბუეთში. 2—1

გრიშა (გიორგი) გლაბუნის-ძე, ნინო ნიკოლოზის ასული, შვილები: ლილი და თენგიზ გოგოტიშვილები ღრმა მწუხარებით აცნობებენ ამხანაგებს, ნათესავთ და მეგობრებს, რომ გურიაში ს. ინტაბუეთში მოულოდნელათ გარდაიცვალა პირველის სიმამრი, მეორესი მამა და უკანასკნელების ბაბუა

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, ს. ინტაბუეთში. ნაშუადღევის 3 საათ.

შვილი თამარა იასონის ასული, სიძე გაბრიელ (ჭიჭიკო) მიხეილის-ძე, შვილიშვილები მიშა, ვოვა და ლუტუ არჯევანიძეები დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ გურიაში, ს. ინტაბუეთში, უეცრათ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დასაფლავება ს. ინტაბუეთში (გურია) 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 2—1

ძმები მირიანი და ვლადიმერი თეიმურაზისძენი, რძლები ანა მიხეილის ასული და ანა ყარამანის ასული და ძმისშვილები პატარა თეიკო ბასილიები მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დაკრძალვა მოხდება სოფ. ინტაბუეთში 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მიხეილ, შვილები ანთიმოზ და გრიშა, რძალი ნინა და შვილიშვილი ლეილა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 14 ნოემბერს ნაშუადღევს 4 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

თემროლე ნიკოლოზის ასული გურდილაძისა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ელისაბედის ქუჩა № 77, 16 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული ძმის წული საშა (ზინაიდა) და მეუღლე ნიკოლოზ დგვარელი შვილებით თამარით და ოთარით და ძმის წული ვალოდია ბუგიანიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 14 ნოემბერს ნაშუადღევს 4 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თემროლე ნიკოლოზის ასული გურდილაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ელისაბედის ქუჩა № 77, 16 ნოემბერს 3 ნახ. საათზე დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი მშობლები: ბიქტორ, ბაბალე და დაი თინიკო ნაცვალაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, ნოემბრის 18, 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ბ ო რ ი ა ნ ა ც ვ ა ლ ა ძ ი ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 4865

მწუხარებაში მყოფნი მშობლები ტერეზი და ბესარიონი, ძმა სერგო აუწყებენ საზოგადოებას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტ

კოწია (კონსტანტინე) ბესარიონის-ძე კომახიძის

მოსაგონებლად კვირას, ნოემბრის 18, სოფ. მარნის თემის ნაწარეულის სასაფლაოზე ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 1836

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

2—2 ნ. 1824

დღეს, ხუთშაბათს, 15 ნოემბ., კომპოზიტორ **პ. ი. ჩაიკოვსკის** გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო

შ ე ს დ გ ე ბ ა

სასწრაფო სიმფონიური კონცერტი

მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის რესპ. დამსახურებ. არტისტის **ა. ვ. პავლოვ-არბენინის** ხელმძღვანელობით

თბილისის ოპერის ორკესტრის გაძლიერებული შემადგენლობის, დამსახურებული არტისტის **ქ. გ. დერჟინსკაიას** (სოპრანო), და **ა. ი. ალექსეევის** (ტენორი) მონაწილ. დაწვრილებით აფიშებში

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

კონცერტის დაწყების შემდეგ დარბაზში შესვლა არ შეიძლება

16 ნოემბერს წარმოდგენა არ იქნება

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	**კაცი № 14**
არფასტო	საუკეთესო სურათი **ზ ვ ე ნ ი გ ო რ ა** დოვჟენკოს დადგმა
სოლეი	ნიკოლოზ კოლინი სურათში **საყვარელი მაწანწალა**
აპოლო	მხატვრული ბოევიკი **წ უ მ პ ე** პანოვის მონაწილეობით
პალასი	მოზჟუხინი და ორლოვა ს უ რ ა თ შ ი **მამა სერგი** ლ. ტოლსტოის ნაწარმოებ. მიხედვით
მინიონი	ოსი ოსვალდი სურათში **მისი კაპრიზი**
დარბაზი	გლორია სვენსონი სურათში **რა საჭიროა ცოლის გამოცვლა**
პროლეტარი ავლაბარი	**პირველი კორნეტი სტრეშნიოვი**

0—8

კინო-მინიონი — **კინო-აპოლო**

დღეიდან

ოსი ოსვალდი სურათში **მისი კაპრიზი**

მხატვრული ბოევიკი **წ უ მ პ ე** პანოვის მონაწილეობით

პირველი სეანსის დასაწ. 6 საათზე 30 წუთ. სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან.

ნ. 1838



მოითხოვეთ ახალი წიგნები

ამხ. **ი. სტალინი** და **ნ. ბუხარინი**—კომკავშირის მიმდინარე ამოცანების შესახებ (მოხსენება ს. ა. ლ. კ. კ. მე-8-ე ყრილობაზე). —50

2. **ლ. ლოლობერიძე** — საქართველოს კომკავშირის მორიგი ამოცანები —50

3. **ცაპლინი**—ბრძოლა მომავალ თაობისათვის —60

4. საკავშირო კომკავშირის მე-8-ე ყრილობის რეზოლიუციები და დადგენილებები—60

5. **ავერბახი**—კულტურულ რევოლიუციის გზებზე —90

. 1814 3—

ც ი რ კ ი

კოლოსი

ტელეფ. № 8-64

დ ღ ე ს

ახალი გასტროლები

განახლებულ პროგრამის სანახაობანი

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

დაწვრილებით აფიშებში—წაიკითხეთ!!!

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი,
ნ. 1821 3—1. მმართველი მ. ი. ტადე.

ამ დღეებში!!

საუკეთესო კინო-თეატრებში

„მეჟრაბპომ-ფილმ“-ის ნაწარმოები

მსოფლიო ფილმი

„თეთრი არწივი“

რეჟისორი ი. ა. პროტოზანოვი

მთავარ როლებში:

რესპუბლიკის სახალხო არტისტები

ვ. ი. კაჩალოვი და

ვს. ე. მეიერხოლდი ნ. 1838

ი ყ ი დ ე ბ ა

სახლი ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. **„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში,** (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—2 **„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.**

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 91 კამოს ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბიქტორ გაბრიელის მოძრავ ქონებას: ერთ პიანინოს და ერთ წიგნების შკაფს შეფასებულს 220 მან., მოქ. ნატალია ხუბუა-ხიხაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1 ნოემბერს 1928 წ. თარიღით № 3401 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4868

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ივ. სანებლიძე

ამით აცხადებს, რომ ის 20 ნოემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 14 ჩახრუხაძის (ბაგრატიონის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მირიანაშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, შკაფებს, ნოხებს, საწოლებს და სხვ. შეფასებულს 501 მანეთად, სურსათ-გემოვნების და სახკვების კავშირების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27—29 სექტ. 1928 წ. თარიღით, № 5384—5390 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4875

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ლ ო გ ო პ ე დ ი

ა. ა. პაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ა ს წ ო რ ე ბ ს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2

13—1 ნ. 1809

ე ქ ი მ ი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ე ქ ი მ ი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ. —მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

თვალის ექიმი

მ ა ლ ა ე ვ ი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელ.მენი № 5—90.

ნ. 4 25—1

ე ქ ი მ ი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ე ქ ი მ ი

ს. ანდრეევისა

დ ა ბ რ უ ნ დ ა

ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.

ელსმენი—11—78. ნ. 25—

ე ქ ი მ ი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) **მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.**

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კ ა მ ო ს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს

(ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მ ო ს კ ო ვ ი ს ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ე ქ ი მ ი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ½—8 ½ საათ ტელეფ.—12—67. ნ. 3 25—2

ე ქ ი მ ი

დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-ე უბანი, № 16,

მიღება { დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

25—1 ნ. 5

დაიკარგა: ცხრა წლედის დამთავრების მოწმობა № 957 ილია თოფურიძის სახელზე, ჩ. გ. 4863

დაიკარგა: სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა № 250 სანდრო თავშავაძის სახელზე, ჩ. გ. 4861

დაიკარგა: თორმეტი ვაგონი შეშის ნებართვა № 685 და 8 ცალი სხვადასხვა პირების სახელზე აღებული შეშის ნებართვები, სიმონ ივანის-ძე დობორჯგინიძის სახელზე, ჩ. გ. 4872

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი, № 6743, თავდაცვა-ავიაქიმის საწ. წიგნაკი, საშეფო საზ. წიგნაკი გაცემული ქუთ. გემო-კვებ ს მუ აკთა კავშირის მიერ, პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი კონსტანტინე სტეფანეს-ძე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1835

დაიკარგა: ქუთაისის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 1866 პასიკო ესტატეს ასული აბზიანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1835

С 1-го ДЕКАБРЯ

МАССОВАЯ РАБОЧАЯ ГАЗЕТА

РАБОЧАЯ ПРАВДА

Газета „РАБОЧАЯ ПРАВДА“, ставя своей целью обслуживание широких рабочих масс, будет выходить на 4 страницах прежнего формата.

БУДЕТ СТОИТЬ

2 к.

В РОЗНИЧНОЙ ПРОДАЖЕ

УСЛОВИЯ ПОДПИСКИ

ВСЮДУ С ДОСТАВКОЙ и ПЕРЕСЫЛКОЙ

На 1 год. . . .	5 руб.	
На 6 мес. . . .	2 „	60 к.
На 3 мес. . . .	1 „	35 к.
На 1 мес. . . .		50 к.